

მისურეთ მინსა; მინა დაგვამურებთ და გავათმობთ თქვენ!

+ ახლა — II

Agro News.ge

# მარცხენა სამრიცხლო

ISSN 1987-8729



9 771987 872003

სამაცნეო-საინორმაციო ჟურნალი

№4 (102), აგვისტო, 2020

ორგანულ-გინერალური სასუები  
„ალზურინი“ – ხორბლისა და სიმიდის  
უსვი მოსავლის გარანტი

გვ. 12



შპს „სამაცნეო-საცაროო  
გართიანება ევრიკა“

ტელ: 599 77 51 46

# თხევადი თროპინული სასუტი ორგანიკუ



ცხელების ცხელების  
მოხარუსნობის კანტინირება

ბიოაგრო  
**BioAGRO**  
მცენარეთა გადამზადების ცენტრი სენტერ  
CENTER OF BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

599 160510  
599 582420

მცენარეთა დაცვისა და გამოკვების  
ბიოლოგიური საშუალებები

[www.bioagro.ge](http://www.bioagro.ge)

## ნომერი 7 თავისებაზო:



**ახალი აგრარული  
საქართველო**  
**AKHALI AGRARULI SAQARTVELO**  
(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.  
Monthly scientific-informative magazine  
აგვისტო, 2020 ნელი.  
№4 (102)

სარედაქციო კრედიტი:  
შოთა მაჭიათელი (თმ. რედაქტორი),  
ნუგბარ ებანიძე მახვილი სოხნაქ,  
თამარ სანიიძე რესუებან გიგაზე-  
ლი (ჯრსეულზე), ოქონ ნიშავრ,  
ნუგბარ იურიანიძე, ნოდარ ბრეგაძე,  
ბექა გრიაზელი, გორგა ბარიაშვილი  
(მეცნიერება-მეცნიერების რედაქციის  
რედაქტორი), ნატო ჯაფრაძე, დავით ბირკაძე  
(რედაქტორი), მარია სახარბეგიშვილი  
(ელ. უფრალ agronews.ge-ს კონსულტანტი)  
თამარ გუგუშვილი (მდგლ. გრის. რედაქტორი).  
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:  
აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევოლ მახარობლიძე გიგა ჯაფარიძე, ჭავჭარ  
უუტეარაძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ნუგბარ  
ებანიძე, პატარ კოლუმბევილი, ელაუშა  
მაფაიძე, ზევად ბრეგაძე, ელგუჯა  
გუგუშვილი, გოგოლა მარგელაშვილი,  
ან გუგუშვილი, ლევა უჯმეჯვიობიძე, ზაურ  
ჯულებაძე, ზურაბ ჯიახიშვილი, ქრისტო  
კანიაშვილი, ადოლ ტუშელაშვილი, ნატო  
კაკაძე, ქუკურა ქრისა, კახ ლაშხი,  
ჯემალ კაცატაძე, ნუკრი მემარნიშვილი,  
ნიკოლოზ ხახაშვილი, მახედ ჭიჭავა,  
დავით ბისტაშვილი, რეზონ ჯიახიშვილი, ოსებ  
სარჯელაძე, თეგნიძე ქურაშვილი, ანატოლი  
გორგაძე, ლევა თორთლაძე, ზურაბ  
ლორძე, კობა კობალაძე.

დააგაბადონა გორგი მაისურაძეშ  
ჟურნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with  
the principles of free press.  
© სამეცნიერო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ვერიელი“  
(ინტელექტუალური ინიციატივა)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო  
დამხმატებელი შპს „გამოცემლობა გრიფონში“

### გამოცემები:

„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური  
პრიორიტეტების კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:  
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31  
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)  
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

**4**

სოფლის მეურნეობის და სოფლის  
განვითარების აღმატესატივული  
ხედები და სტრატეგია

მსოფლიოში საყოველთაოდ ცნო-  
ბილი და ფართოდ მიღებული ფორმაა  
სოფლის მეურნეობის წარმოების მა-  
რეგულირებელი და მასტიმულირებე-  
ლი სისტემის ორდონიანი მხარდაჭერა.

**12**

როგორ მოვალეობა საუკი  
„ალზურინი“ - ხორბლისა და  
სიმღერის უცველი მოსავლის გარემო

როგორც ირკვევა, „ალზურინი“ არა  
მარტო საშუალოდ 64 %-მდე ზრდის  
მოსავლიანობას, არამედ 2 კვირით  
აჩქარებს მის მომწიფებას.

**21**

რა უდა გაითვალისწინოს  
ფინანსურა მსევილფას პირუტყვის  
საქმიანული უნაცვის დროს

როგორი მოვლილი საძოვარიც არ  
უნდა იყოს, პირუტყვი 8 საათზე მეტს  
არ ძოგის, დანარჩენ დროს ისვენებს  
და იცობნება.

მოსანი რეგიონების  
განვითარების მსოფლიო  
გამოცდილება

**16**

ლაიფსტილი თუ ტურინგი?

მარცვის უამაღლესად

**17**

სისტემური დარგის მათობი

**17**

უვალა მაფუტკრამ უდა  
იცოდეს, რომ...

**22**

ეგიური ჯიშის თხა

რჩაინდებოს ჯიშის ქათამი -  
აროდუელი და სავა  
და უარყოფითი მხარეები

**22**

სიცოდურის [მცვავი სასუალი]  
თესა - დავისვათ

**23**

განვითარების  
არობლების განვითარება

არეალურ კლასის

**26**

გილობრივი და ეპიური  
სასუალი

არასი [ALLIUM PORRUM] -

**27**

მოვლა-მოყვანის ქირითაღი  
აგრონომის

**28**

გაეთ კითხვა ვებარინართან?

**29**

გაეთ კითხვა აგროცემოთან?

### ჩვენი რეკორდები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
(ურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ გამომცემელი)  
„აგრარული სექტორის კომპანიების ასოციაცია“  
ს/ს 404856483  
ს/ს „ბაზისპანკი“ BASGE22(220101956)  
ა/ს GE23BS000000034536405  
მის: თბილისი, გორგასლის ქ. 51



## სოფლის გაურეობის და სოფლის განვითარების კლიმატიული ხელვა და სტრატეგია



თანამედროვე მსოფლიო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას, რასაც საზოგადოება თავსდატეხილი პანდემიის პირობებში მძაფრად შეიგრძნობს. კაცობრიობას ეს განსაკუდელი და მისგან პროვოკირებული ეკონომიკური კრიზისი უმძიმესი ფორმით გადააქვს; დღის წესრიგში დადგა გლობალური, ფუნდამენტური მაკროეკონომიკური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

მსოფლიო ჩვენ თვალინი იცვლება და ამ პირობებში, ქვეყანას ეძლევა შანსი სწორად შევაფასოთ არსებული ვითარება, თვალი გავუსწოროთ გამოწვევებს, შევქმნათ კრიზისიდან გამოსვლის და პერსპექტიული განვითარების ახალი სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც მონეტარულ და ფინანსურ თემატიკასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს მივანიჭებთ საქართველოს რეგიონულ და აგრარულ განვითარებას.

2019 წლის 30 დეკემბერს მთავრობამ მიიღო 2021-2027 წლის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგია, რომელიც თავისი შინაარსით, მიზნებით და ამოცანებით ვერ პასუხობს ქვეყნის და დარღის წინაშე.

აქ მოყვანილი ზველა პროგლემა თუ გაჩდება პოლიტიკური ნება, ვარდული მინისტრის ჩავანაცვლებით რევოლუციური, დიჭი გიძგის აოლიტიკით

არსებულ გამოწვევებს. დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა მეცნიერებმა, ექსპერტებმა, პრაქტიკოსებმა და ფერმერებმა ხმა ავიმაღლოთ ამ არაფრისმომცემი დოკუმენტის წინააღმდეგ და შევქმნათ მისი ალტერნატიული ვერსია, რომელიც, მნიშვნელოვანია, გავხადოთ საჯარო განხილვის საგანი. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სტრატეგია თავისი შინაარსით, მიზნებით და ამოცანებით არ შეიძლება იყოს ლიბერალური პრინციპების, ფრაგმენტულობის, არასრულფასოვანი პროტექციონიზმის და საყოველოთაო უპასუხისმგებლობის წიმუში. ჩვენ ნამდვილად არ ვართ იმ რეალობაში, რომ დავიმაყოფილდეთ და სახელმწიფოს გავყვეთ „ევროლუციური თვითდინების“, პოლიტიკაში. დღეს საჭიროა ახალი სტრატეგიული ხედვა, მიზნობრივი პროგრამები, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის ახლებურად გააზრება, მოქნილი მასტიმულირებელი და მარეგულირებელი პოლიტიკა, მთავრობის მხრიდან სწრაფი, ეფექტური და პასუხისმგებლივი მოქმედება.

მოწინავე ქვეყნების აგრარული პოლიტიკა დაფუძნებულია რესურსული შესაძლებლობების გონივრულ მართვასა და ინტენსიურ-ინვესტიური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, სადაც კომპლექსურად არის დალაგებული პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ელემენტი, ეფექტური და სტრუქტურული ფაქტორი, მიზნობრივ-დარგობრივი პროგრამები განერილია დროში, სივრცეში და შედეგზე ორმხრივი პასუხისმგებლობა აქვს.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია. დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე, ეფექტურ შედეგს ვერცერთმა წარმატებულმა ქვეყანამ ვერ მიაღწია, რადგან თანამედროვე მოცემულობაში უაღრესად მნიშვნელოვანია დარღის ინტენსიურ მაღალტექნოლოგიურ განვითარებას წინ უძლოდეს სახელმწიფოს მიერ კარგად გააზრებული სისტემურ-სტრუქტურული რეფორმა, რეგიონული სპეციფიკის და შესაძლებლობების კვლევა, მიკროზონული დარგობრივი დარაიონება, სწორი სივრცითი დაგეგმვა და სხვა ტიპის მულტისექტურული ჩართულობა. უპირატესად მხოლოდ სახელმწიფოს და მის თვითმმართველ ორგანოებს შეუძლიათ სრულფასოვანად დაგეგმონ და განვითარონ კონკრეტული ტერიტორია, რეგიონი, რაიონი თუ მიკროზონა. ქვეყნის პროტექციონისტული, მასტიმულირებელი პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს რეალურ სტატისტიკას და კარგად გააზრებულ სიტუაციურ ანალიზს, ჩვენ სწორად უნდა შევარჩიოთ მოქმედების ტაქტიკა და უზრუნველყოთ სამუშაო პროცესი ერთის მხრივ სტრუქტურულ-სისტემური მართვით, ხოლო მეორეს მხრივ თანამედროვე ინტენსიურ-ინვესტიციებით, რომელმაც უნდა შექმნას მაღალი ხარისხის, მოცულობითი, ერთგვაროვანი კონკურენტუნარიანი პროდუქტი, რადგან სხვა შემთხვევაში წარმოუდგენელია არა თუ ექს-

პორტის განხორციელება, არამედ საუთარ ბაზარზე დამკვიდრება.

ინტენსიური მეთოდით დარგის განვითარებას ალტერნატივა არ აქვს, თუმცა უპირობოდ გასათვალისწინებელია ყველა ის სპეციფიკური პრობლემა და ტრადიციული უპირატესობა, რაც ჩვენს პირობებში მოცემულ რეგიონს ახასიათებს. ამავდროულად გასათვალისწინებელია ინკლუზიური ჩართულობის და სოფლად დამაგრების პოლიტიკის მნიშვნელობა. კიდევ მრავალი სხვა მექანიზმის და დეტალის მიუხედავად, დღეს დარგის ნინაშე გამოკვეთილია გამოწვევები:

- 1. სასურსათო უსაფრთხოება;**
- 2. დარგის ეფექტური სისტემურ-სტრუქტურული იპტიმიზაცია;**
- 3. ინტენსიური განვითარება და რაციონალური მართვა;**
- 4. ინვაციური ტექნოლოგიები და გონივრული მენეჯმენტი;**
- 5. მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანი პროდუქცია;**
- 6. რეგიონული შესაძლებლობები და მიკროზონული უპირატესობა.**

ნებისმიერი სიახლის და განვითარების მოდელის ფორმირებას ნინ უნდა უსწრებდეს არსებული ვითარების სრულფასოვანი შესწავლა, როგორც სტატისტიკურ-ანალიტიკური, ასევე სიტუაციურ-შეფასებითი კვლევის თვალსაზრისით. სახელმწიფო რეგულაციები და მასტიმულირებელი პოლიტიკა უნდა ქმნიდეს დარგის განვითარების სრულ ჰარმონიას; დაუშვებელია სამოქმედო მოდელში გამოკვეთილი არ იყოს ხელისუფლების და ფერმერული მეურნეობის ორმხრივი პასუხისმგებლობა, შედეგზე ორიენტირებულობა, მოქნილობა, ინვაციურობა, კრეატიულობა. მხოლოდ კომპლექსური მულტისექტორული მონაბილეობა და სახელმწიფო მხრიდან აღებული პასუხისმგებლობა უზრუნველყოფს შედეგს და ეს დადასტურებულია მრავალი წარმატებული ქვეყნის მაგალითზე. დროა გავაცნობიეროთ, რომ როდესაც სახელმწიფო კარგავს მართვის სადავეებს, რეალურ სტატისტიკურ მონაცემებზე წვდომას, მართვის ეკონომიკურ ფუნქციას, პროცესში ლიპერალური მიდგომები საბაზრო მექანიზმები და არაფრისმომცემი თავისუფლება დომინანტური ხდება. გარნებულება, ასეთი მდგომარეობა საფრთხისშემც-

ველია, თუმცა უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენ რეალობაში ვცხოვრობთ. ლიბერალიზმი განვითარების მუდმივად თანმდევი პროცესია, თუმცა ექსტრემალურ პირობებში არ შეიძლება მას საქართველოსთვის საბაზრო ეკონომიკის ახალი მოდელის ფორმირების და ფუნქციონირების მთავარი აქტორის როლი დაეკისროს. ჩვენ ვიმყოფებით განვითარების ისეთ ფაზაში, როდესაც უმოქმედობა და პროცესის ინერციულ რეაქტივი გადაყვანა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

გამოკვეთილია მოქმედების ორიპერსპექტიული გზა:

პირველი და მოქმედი – „ევროლუციური ინერციას“, რომლის დროსაც უპირატესი ფაქტორი ლიბერალური თავისუფლებაა, სადაც არჩევანის საშუალება შეუზღუდავია, როგორც ორგანიზაციულ-სტრუქტურული, ისე ტექნოლოგიურ-მარკეტინგული თვალსაზრისით. საბაზრო მექანიზმების განსაკუთრებულობა და ღია კონკურენცია ერთის მხრივ შეიძლება დადებით ფაქტორად მოვიაზროთ, თუმცა ჩვენს პირობებში იგი აშკარად დეფორმირებულია და მძიმე ნეგატიურ ფონს ქმნის, შესაბამისად აღრმავებს კრიზისს და გაურკვევლობას. ფრაგმენტული აქტიურობა, არასაწორად შერჩეული პრიორიტეტები, არასაკმარისი ანალიტიკა, მიზანზე არაორიენტირებული ექსტრენცია, არასავალდებულო ახალი ტექნოლოგიები, ბედის ანაბარა მიშვებული სახელმწიფო ინიციატივები, უკინტროლო დახმარებები, პირველადი მწარმოებლებისთვის ფინანსურ რესურსებზე არასაკმარისი წვდომა და მრავალი მსგავსი საკითხი, საზოგადოებაში

იწვევს დაუსრულებელი მოლოდინის და ევოლუციური ინერციის განცდას, რომლის დაშვება დღევანდელი გამოწვევების პირობებში დანაშაულის ტოლფასია.

მეორე ავტორისეული – „დიდი ბიძგის პილიტიკა“, სადაც სახელმწიფო ყველა იმ ამოცანის შესრულების მთავარი გარანტორი და ორგანიზაციონი იქნება, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე მნიშვნელობა დაგას. სტრატეგია გათვალისწინებულ შედეგზე და არა ფრაგმენტულ აქტიურობაზე, რადგან სასურსათო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს საკითხს ჩვენ გადავწყვეტო მხოლოდ ინტენსიური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით და სტიმულირებით, მას კი კომპლექსური პროტექციონისტული პოლიტიკა სჭირდება, სადაც სისტემურ-სტრუქტურული რეფორმიდან საფასო-მარკეტინგულ პოლიტიკამდე ყველა მნიშვნელოვანი ნიუანსი გაინერება, ხოლო ტერიტორიულ-მიკროზონული უპირატესობა გამყრდება დარგობრივი პროგრამებით და მაღალი ტექნოლოგიებით, რაც თავის მხრივ კონკურენტუნარიანობის, ხარისხის, ერთგვაროვანი და მიკვლევადი პროდუქციის შექმნის გარანტია. დღევანდელ ვითარებაში მხოლოდ სახელმწიფო შეუძლია, უზრუნველყოს დარგის კომპლექსური, თანმიმდევრული, შეუქცევადი განვითარება. მსოფლიო გამოცდილება ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ გვარნებულებს.

სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკა ყველა განვითარებული ქვეყნის პრიორიტეტია და აქ გამონაკლისები არ არსებობს, თუმცა მოქმედების მოდელი ყველგან განსხვავებულია და მორგებულია ქვეყნის რესურსების შესაძლებლობებს, ბუნებრივ-



საწარმოო პირობებს, ეკონომიკური იდეოლოგიას, ისტორიულ-გეოგრაფიულ, ტრადიციულ ფაქტორებს და ზოგადად მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

აღსანიშნავია პოსტკომუნისტური მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში დამაბნეველი ფაქტორი აღმოჩნდა და მისი განადგურებით დავაზიანეთ სხვა დარგისთვის მნიშვნელოვანი თემები; აგრარული საზოგადოება მოვაქციეთ იდეოლოგიურ ტერორში და ვლანძლეთ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მსგავსი გაერთიანებები. ამ მიდგომამ გააჩინა ბუნებრივი შიში ნებისმიერი გაერთიანების, კოოპერირების, კლასტერირების მიმართ. ამას ემა-

ქვეყნის აგრარული და რეგიონული პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის გარეშე ვერ განვითარდება, ცენტრიდანული და ცენტრისკენული პოლიტიკის სინერგია დარგის კომპლექსური, ინვაციური, ინტენსიური და ინკლუზიური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანებისა. დარგობრივი სპეციალიზაციის ოპტიმიზაცია კონკრეტული რეგიონის და მიკროზონის დონეზე იძლევა საშუალებას მივიღოთ მაღალი შედეგი, როგორც პროდუქციის ერთგვაროვანი რაოდენობის და ხარისხის მიხედვით, ასევე მისი კონკურენტუნარიანი ფასის თვალსაზრისით.

სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის ფორმირების დროს გასათვა-

დაც ხუთივე პრინციპი საქმიან მოქმედებაშიც და აზრობრივ თეორიაშიც სრულიად დარღვეულია. პროგრამები ფრაგმენტული და შედეგზე ნაკლებად ორიენტირებულია, ინფორმაციულ-ანალიტიკური ნაწილი სუსტი და ბუნდოვანია, არ არსებობს პროგნოზირების სისტემა, არათანაბარი პირობებია დაცული ბაზარზე და არც არსებობს პირობები მისი დაცვის და რეგულირების, მთავრობის ქმედებანი ძირითადად არათანმიმდევრული და მოუქნელია, დარგობრივი ასოციაციები კი ფაქტობრივად შერწყმულია არსებულ არაეფექტურ სამოქმედო მოდელს და არა თუ დომინირებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის ფორმირებაში, არამედ მოქმედებს მათი დაკვეთით და ხშირ შემთხვევაში სერიოზულად აზიანებს პროცესს.

შემოთავაზებული ხედვა, სადაც ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპი ერთმანეთს ავსებს, უფრო მეტიც მათი სინერგია ქმნის განვითარების წინაპირობას, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მეტ ყურადღებას. ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა:

**1. მინის ფრაგმენტაცია და ამ რესურსის ეფექტურად გამოყენების სისტემური რეგულირება;**

**2. ნიადაგობრივ-კლიმატური უპირატესობების განმსაზღვრელი მეთოდოლოგიის არარსებობა და სახელმწიფო რეგულირების მოშლა კულტურათა დარაიონების თვალსაზრისით;**

**3. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოუყენებლობა და ამ მხრივ სახელმწიფოს მხრიდან აბსოლუტური გულგრილობა;**

**4. ბაზრის კვლევის და პროგნოზირების სისტემის მიმართ უპასუხისმგბლოვნიდან დამოკიდებულება;**

**5. ხარისხის კონტროლის დაბალი დონე, პროდუქციის კრიტიკული მასის უქონლობა და შესაბამისი ლოჯისტიკური პრობლემები;**

**6. არაეფექტურიანი მიზნობრივ-დარგობრივი პროგრამები;**

**7. რეგიონების და მუნიციპალიტეტების სუსტი ჩართულობა;**

**8. წყალუზრუნველყოფის პრობლემები და გაუმართავი მენეჯმენტი;**

**9. მარკეტინგული ქაოსი და საფასო პოლიტიკის არარსებობა;**



ტება სამინისტროს მიერ ამ მიმართულებით გატარებული არაეფექტურიანი და არათანამიმდევრული პოლიტიკა, შესაბამისად სახეზეა ეკონომიკური რაციონალიზმისგან და საწარმოო მოტივიზაციისგან მორს მდგომი მცირე ფერმერული მეურნეობები, სადაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება უკიდურესად რთულდება.

მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი და ფართოდ მიღებული ფორმა ასოფლის მეურნეობის წარმოების მარეგულირებელი და მასტერილირებელი სისტემის ორდონიანი მხარდაჭერა. თუ ფედერალური, იგივე ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა მასშტაბურ მაკროეკონომიკურ ამოცანებს მოიცავს და მისი პროტექციონისტული ხასიათი სახელმწიფოს წინაშე მდგარი მიზნების და ამოცანების უზრუნველსაყოფად განისაზღვრება, რეგიონული მარეგულირებელი სისტემა უკვე შედეგზეა ფოკუსირებული და ყველა იმ მნიშვნელოვან ელემენტს ავსებს, რაც ფედერალურს აკლია.

ლისწინებელია მრავალი ფაქტორი, თუმცა მოქმედების სტრატეგია რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს:

**1. სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ინფორმაციულ-ანალიტიკურ უზრუნველყოფას და პროგნოზირების სისტემის მართვას;**

**2. სამთავრობო მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას;**

**3. სამინისტროს პოლიტიკის თანმიმდევრულობას და მის მდგრად ხასიათს, რადგან დარგის წინაშე მდგარი გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს;**

**4. კონკურენტუნარიანი პროდუქციას და მისი წარმოების პირობებს;**

**5. საზოგადოებრივ ჩართულობას და დარგობრივი ასოციაციების მონაწილეობას სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისას.**

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის შესწავლისას ვიღებთ სურათს, სა-

10. ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გართულებული მექანიზმები და მაღალი საპროცენტო განაკვეთი;

11. სოფლის განვითარების კო-ცეპტუალური მოდელის არ არსებობა;

12. ბაზრის დაცვის მექანიზმების სრული ქმედითუუნარობა.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გონივრული, მეცნიერულად დასაბუთებული და ამავდროულად პრაქტიკაში ადაპტირებული მიზნობრივ-პროგრამული სამოქმედო მოდელები, რომლებიც იმ კომპლექსური მაკროეკონომიკური სამთავრობო ხედვის ნაწილია.

ლია, სადაც ყველა უწყებას, რგოლს და ინდივიდს გამოკვეთილი უფლება და პასუხისმგებლობა აქვს.

ყველა აქ მოყვანილი პრობლემა დაიძლევა თუ გაჩნდება პოლიტიკური ნება და ევოლუციურ ინერციას ჩავანაცვლებთ რევოლუციური, დიდი ბიძგის პოლიტიკით, სადაც სახელმწიფო კომპლექსურად გაიაზრებს ყველა პრობლემას და უპირატესობას, შესაბამისად შექმნის კრიზისის დაძლევის და განვითარების ქართულ მოდელს.

**მოხა ლოზანავაზოლი,**  
სსმმ აკადემიის ექსპერტი,  
ინიციატივის კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილუ



## ს ხ ე ვ ა თ ა გ ა მ ი ც დ ი ლ ე ბ ა

# მთიანი რეგიონების განვითარების მსოფლიო გამოცდილება

## [ჩამოსაყალიბებები „აღაური კონვენციის“ კავკასიური ვარიაციი]

თანამედროვე რეგიონების აღიმიტის საერთო ეროვნული განვითარების აროგრამისთვის მთის რეგიონების აროგლების აროგონის გამოყოფა ზოგადი მახასიათებელია.

მთიანეთის პრობლემატიკა ყოველთვის იყო სახელმწიფო ორგანიზაციის ინტერესების ერთ-ერთი სფერო. ცენტრალური სახელმწიფოთა მართვის ცენტრი, სამთავრობო თუ სანარმოო სტურქტურები, როგორც წესი, ბარში იყო განთავსებული და, ამდენად, მთიანი რეგიონები ტერიტორიული და ფუნქციური თვალსაზრისით პერიფერიის კატეგორიას განეკუთვნებოდა. აქ, ბართან შედარებით, გვიან შემოდიოდა თანამედროვე ცივილიზაცია, ინოვაციები - რელიგიური თუ სხვა რეფორმები, თანამედროვე ტექნოლოგიები. ამდენად, ბარისა და მთის ურთიერთობა ყოველთვის ყოველთვის აქტუალური იყო ყველა სირთულით, წინააღმდეგობითა და არც თუ ისე იშვიათი დაპირისპირებით (მცირერიცხოვან გამონაკლისთა რიგს, ალბათ, მხოლოდ შვეიცარია შეიძლება მივაკუთვნოთ).

ასეა თუ ისე, ყველა ქვეყნის, ე.წ. სტრუქტურულ პოლიტიკაში მთიან რეგიონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ან ამგვარი ადგილი უნდა ეკავოს. ამ მხრივ, არც საქართველოა

გამონაკლისი. ამიტომაც არის ჩვენთვის სანტერესო მთიანი რეგიონებისადმი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიღებობი.

მთიანი რეგიონები ყველგან ეკონომიკურად დეპრესიულ ზონებს განეკუთვნება, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია სოციალური ჩავარდნები. ამ პრობლემების გააზრებისა და მოწესრიგების ამოცანა ვრცლად

წარმოჩნდა და მასშტაბური ხასიათი მიიღო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპისთვის შემუშვებულ ამერიკულ მარშალის გეგმაში.

შვეიცარიის გამოცდილება

გასაგები მიზეზების გამო, შვეიცარია ის ქვეყანაა, სადაც ტრადიციულად და წარმატებით ხორციელდება მთიანეთის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა. თავდაპირველად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა გამოიხატებოდა მთიანე-





თის ფერმერებისა და მეტყევები-სათვის სუბსიდიების გამოყოფისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სახით. 1954 წლიდან, გარკვეულ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მთიანეთის სახლომფლობელები (გლეხური, ფერმერული კომლი) დებულობენ სახელმწიფოსაგან დოფაციას, აგრეთვე სხვადასხვა სახის გაშუალებულ სუბსიდიებს (პენსიები გლეხებისათვის, ბავშვთა ინტერნატების შენახვა და ა.შ.).

შვეიცარია შემდგომაც აგრძელებდა ლიდერობას მთიანეთის განვითარების სფეროში. აქ ძალისხმევა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა;
- სატრანსპორტო პოლიტიკა;
- შერჩევითი, მისამართიანი ფინანსირება;
- საგადასახადო შეღავათები.

მაგრამ ყველა ამ ღონისძიებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. ამიტომაც სპეციალისტებს დაევალა მთიანეთის განვითრების ფედერალური კონცეფციის შემუშავება.

1971 წელს ფედერალურმა საბჭომ მოისმინა კონცეფციის ავტორთა მოხსენება, ხოლო 1974 წელს მიღებულ იქნა ფედერალური კანონი მთიანეთის საინვესტიციო სელ-შეწყობის შესახებ.

ამ კანონის საფუძველზე შემუშავებულია შვეიცარიის 50 რეგიონის (თემის) საერთოეკონომიკური განვითარების კონცეფციები. ამ პროგ-

რამების დაფინანსების 21% მოდის წყალმომარაგება-კანალიზაციასა და ნარჩენების უტილიზაციაზე; 20,8% – საგანმანათლებლო ღონისძიებებზე, 17,2% – დასვენებასა და სპორტთან დაკავშირებულ პროექტებზე.

1975 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც უზრუნველყოფდა შეღავათიან სესხებს მცირე პროექტებისათვის; სესხები ორიენტირებული იყო მთიანეთის თემების განვითარებაზე. ამგვარი სესხების მიღების პირობას წარმოადგენდა მთიანეთის თემების თვითორგანიზება, ე.წ. განვითარების რეგიონებად და კონსენსუსის მიღწევა განვითარების პრიორიტეტების თაობაზე. სესხებს გასცემდა შვეიცარიის საინვესტიციო ფონდი (IHG).

1983 წლისთვის 1225 თემისაგან (მუნიციპალიტეტისაგან) შემდგარი 54 განვითარების რეგიონი რეგისტრირებული იყო ფედერალური მთავრობის მიერ. IHG აგრეთვე გასცემდა მცირე ინსტიტუციურ გრანტებს სამუშაო ორგანოების – სამდივნოების შესაქმნელად. განვითარების რეგიონების პირველ ამოცანას წარმოადგენდა განვითარების კომბლექსური გეგმის შემუშავება. ეს გეგმა განსაზღვრავდა კონკრეტულ პროექტებს და პროგრამებს, რომელიც დასაფინანსებლად წარედგინებოდა IHG-ს.

1991 წელს IHG-ს მიერ 3078 განვითარების პროექტი დაფინანსდა. მთიანეთისა და ბარის ინფრასტრუქტურებს შორის სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. შედეგად, გამყარდ კვეუნის მთიანეთის განსახლების სისტემა, 1970-1990 წლებში მთიანეთის

მოსახლეობამ 10%-ით მოიმატა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ამგვარი პოლიტიკის შედეგად თვითმმართველობის ცნობიერების ღრმა ტრადიციების განმდინარება. შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, 1993 წელს შეიქმნა განვითარების რეგიონების სამდივნოების ორგანიზაცია.

### პოლიტიკის ინიციატივა

1970 წლებიდან მთიანი რეგიონების პრობლემატიკა საკადრის ადგილს პოულობს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის საქმიანობაში. საინტერესოა, რომ ამ პოლიტიკის ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის ყველაზე ვაკე ქვეყნის – პოლანდის ინიციატივა; ამ ინიციატივაში ჩამოყალიბებული იყო მთიანეთის ფერმერების ფართე ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებში. მეორე წელსვე (1974) იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამისი რეგიონების ფერმერებმა დაინტერესებული იყონდიდან.

### გერმანიის განვითარება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიუნკენის ალპურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა ადრეული შეტყობინების სისტემა, რომელიც ძირითადად ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგსა და წინმსწრები ღონისძიების დაგეგმვას გულისხმობდა. ამ კვლევებმა მოიცეა 1100 გ<sup>2</sup> ინსპრუკიდან (ავსტრია) ვიდრე პენცერგამდე (ბავარია) და შეადგინა ერთ-ერთი რეგიონი, დასავლეთ ევროპის მთიანეთის 9 მოდელური რეგიონიდან.

თანდათანობით მთიანეთის თემატიკის დაწინაურების პროცესში, გლეხური მეურნეობების შენარჩუნების პრობლემამ ადგილი დაუთმო კულტურული ლანდშაფტის დაცვის პრობლემას და აგრარული პოლიტიკის სფეროდან რეგიონული (რაიონული) დაგეგმარების, ურბანისტიკის, განსახლების სფეროში გადაინაცვლა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორს, აქ ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივი დახვენის პროცესშია. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის გაუმართლებელი

ინტენსიური კაციების აღკვეთის მიზნით, განვითარებულ ქვეყნებში სუბსიდიას დაექვემდებარა არა პროდუქტია, არა-მედ მინის კონკრეტული ნაკვეთები.

## იაპონის გამოცდილება

მაღალტექნოლოგიური წარმოების მსოფლიო ლიდერის როლთან ერთად, იაპონია გამოიჩინა მთიანი რეგიონების მიმართ გონივრული, მიზანდასახული და შედეგიანი პოლიტიკით.

1965 წელს მთიანეთის დეპოპულაციის პრობლემით შეწუხებულმა მთავრობამ მთიანეთის განვითარების აქტი დაამტკიცა. ამ წარმატიული აქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო მთიანეთსა და პარს შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების ხაზგასმა.

ამ აქტის მიზნებს შორის გამოსაყოფა:

- მთიანეთის სოფლებს შორის, აგრეთვე მთიანეთისა და პარს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება – საგზაო-სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მეშვეობით;

- მთიანეთის მინის, ტყისა და წყლის რესურსების ეფექტური ექსპლუატაცია – გზების მშენებლობის, ელექტროენერგიის გამომუშავების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის მელიორირების უზრუნველყოფით;

- ადგილობრივი წარმოების განვითარება და შრომითი დასაქმების გაუმჯობესება ისეთი ლონისძიებების გზით, როგორიცაა სატყეო და ფერმერული მეურნეობის თანამედროვე მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, არასასოფლო-სამეურნეო და ხის პირველადი გადამუშავების წარმოებების შექმნა, ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი, უნიკალური, ბუნებრივი პროდუქციის ბაზრის კულტივირება;

- ბუნებრივი რისკების კონტროლი და პრევენცია (ნიადაგის ეროზია, მეწყერები, ღვავები) ტყების დაცვისა და საანჟინორო ნაგებობების მეშვეობით;

- სოციალური ინფრასტრუქტურის მისასვლებობის გაუმჯობესება – სკოლების, სამედიცინო დანესებულებების, კულტურული ცენტრების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ამგვარი ინტეგრირებული მიდგომა ხორციელდებოდა სექტორული პროგრამების მეშვეობით. კანონის მოთხოვნების თანახმად, იაპონიის

12-მა სამინისტრომ თუ სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა და დანერგა მთიანეთის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, სპეციფიკური პოლიტიკა და პროგრამები.

მთიანეთის მდგრადობის იდეოლოგია ასევე აისახა იაპონიის სხვა საკანონმდებლო აქტებში; ისეთებში, როგორიცაა: **ბუნების დაცვის კანონი**, კანონი ნაციონალური პარკების შესახებ, ტყის კანონი, კანონი კულტურული საკუთრებისა და დაცვის შესახებ. აღიარებულია, რომ მთიანეთის დაცვის საქმეში გადამწყვეტია პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებათა მჭიდროდ კოორდინირებული საქმიანობა.

## კანადის გამოცდილება

კანადის დასავლეთით აღმოჩენილი მთების (Rocky Mountains) ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივ საკუთრებას წარმოადგენს და იმართება სახელმწიფო სააგენტოების მიერ.

რამდენიმე ათწლეულის წინ აღმოჩენილი აროვინციის მთავრობამ რესურსების ინტეგრირებული მართვის (IRMS) სტრატეგია დაამტკიცა, კლდოვანი მთების აღმოსავლეთის კალთების მდგრადი განვითარების მიზნით. ეს ზონა მოიცავს 90 000 მ² მთებსა და ტყიან მთისძირებს. გან-

ვითარებულია სატყეო მეურნეობა, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ტურიზმი, რეკრეაცია; აქვეა მრავალი მდინარის სათავე.

იმის გამო, რომ ტერიტორია იმართება საზოგადოებრივი სექტორის მიერ, პრიორიტეტულია სწორედ საზოგადოებრივი ინტერესები და მიზნები. ამ მიზნების მისაღწევად IRMS-მა ჩამოაყალიბა ინტეგრირებული რესურსების გეგმები (IRMS).

ამ გეგმების ძირითადი მიმართულებაა მოწყვლადი ტერიტორიების გამოვლენა, დელიმიტაცია და მათი გამორიცხვა სამრეწველო თუ კომერციული საქმიანობებისაგან. IRMS-ის შემუშავების პროცედურა წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს დაინტერესებული მხარეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის თვალსაზრისით.

IRMS გადაიქცა კანადის სხვა პროვინციაში რეგიონული დაგეგმვის მოდელად; იგი მიმართული იყო:

- მთიანეთის პრობლემატიკის რეგიონული ხედვის განსამტკიცებლად – შესაბამისი მიზნებისა და ინდიკატორების ჩათვლით;

- რეგიონის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენასაკენ.

სტრატეგიის შემუშავებისას გამოყენებული იყო სიმულაციური მოდელირება ეკონომიკური და ეკოლოგიური კუმულატიური შედეგების გამოსავლენად, განვითარების სხვადასხვა სცენარის მიხედვით.

1999 წელს მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტი – **აღმოჩენას გადასაზღვრებელი კანონი**.



დებულებები მდგრად რესურსებსა და გარემოსდაცვით მენეჯმენტში. წინა დოკუმენტთან შედარებით, ეს აქტი აფართოებს მდგრადი განვითარების ფილოსოფიას როგორც შინაგანი სამსახურის ფუნქციური, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით.

2000 წელს ალბერტას პროვინციის მთავრობამ წამოიწყო ახალი პროექტი – ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთების მდგრადი რესურსებსა და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტრატეგია; სტრატეგია ფარავს 40 000 მ² ტერიტორიას და წარმოადგენს პროტიპს ანალოგიური სტრატეგიებისათვის მთელს კანადაში.

რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის (1992 წ.) შემდეგ განვლილი ორი ათწლეულის მანძილზე, მრავალი ქვეყნის გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები შემდეგ რეკომენდაციებს უწევენ წარიონალურ მთავრობებს მთანეთის მდგრადი განვითარების მიზნით:



- მთანეთის აღიარება წარიონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტად;

- მთანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ დღის წესრიგში;

- კომპენსაციის სისტემის დანერგვა მთანეთის მხრიდან ბარის ზონის ფარგლების მიწოდებული რესურსებისა და მომსახურეობისათვის;

- მთანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;

- სოციალური და საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;

- სექტორული პოლიტიკის აღაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან;

- ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად;

- ცვლილებები ადგილობრივი კულტურული თავისებურებების დაკარგვის გარეშე;

- მთიანეთის ეკოსისტემების კონსერვაცია და ადრეული გაფრთხილების ფუნქციის შენარჩუნება;

- მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია;

- განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების (სქემების) წინმსწრები შემუშავება.

ამასთან ერთად, აღიარებულია, რომ არ არსებობს მთიანეთის მდგრადი განვითარების უნივერსალური, ერთიანი თარგი; ყველა ქვეყანამ უნ-

ვენციის მონაწილე, მაგრამ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა სცილდება აღპების რეგიონის ფარგლებს; იგი დიდილად განსაზღვრავს თანამედროვე საზოგადოებრივი ცნობიერების და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ორიენტაციას მთიანი რეგიონების მიმართ, რამაც შემდგომ სხვა ანალოგიური დოკუმენტების შექმნაც განაპირობა.

## კონვენცია გამოყოფს მონაცილეთა თანამშრომლობის 12 სუროს:

**1. მოსახლეობა და კულტურა.** მიზანია, პატივი მიეგოს, შენარჩუნდეს და ხელი შეეწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ დამოუკიდებლობას; უზრუნველყოფილ იქნეს მათი საცხოვრებელი სტანდარტები, კერძოდ კი გარემოს-დაცვითი თვალსაზრისით დასახლებების მდებარეობა, აგრეთვე მათი ეკონომიკური განვითარება და სტიმული მიეცეს მთიანი რეგიონებისა და ბარის მოსახლეობას შორის თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას.

**2. რაიონული დაგეგმარება.** მიზანია, მინის ეკონომიკური და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა, მთელი რეგიონის მყარი და ჰარმონიული განვითარება; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სტიქიური რისკების ფაქტორს, რესურსების ამოქმედებასა და თავი აერიდოს ზედმეტ ანთროპოგენულ დატვირთვებს; აგრეთვე განხორციელდეს ბუნებრივი საცხოვრისის კონსერვაცია და რეაბილიტაცია; მინათსარებლობის მოთხოვნების წინდახედული ინტეგრალური დაგეგმარებისა და ქმედებათა კოორდინაცია.

**3. ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება.** მიზანია, ყველანაირად შემცირდეს მავნე ნივთიერებების ჰაერში განვითარება, აღმოფხვრილ იქნას ჰაერის დაბინძურების პრობლემა მთიან რეგიონებში. ასევე შემცირებულ იქნას მავნე ნივთიერებების შემოჭრა რეგიონის ფარგლებს გარედან და დაყვანილ იქნას იმ დონეზე, რომელიც საშიში არ იქნება ადმინისტრირებული ცხოვრებისა და მცენარეთა სამყაროსათვის.

**4. ნიადაგის შენარჩუნება.** მიზანია, შემცირებულ იქნეს ნიადაგის რაო-

დენობრივი და ხარისხობრივი დაზიანება, რაც შესაძლებელი იქნება სოფლისა და სატყეო მეურნეობის ისეთი მეთოდების დამკვიდრებით, რომლებიც ზიანს არ მოუტანს ნიადაგს; ეს კი თავის მხრივ, უნდა განხორციელდეს ნიადაგზე მინიმალური ზემოქმედებით. საჭიროა მიწის ეროზიაზე კონტროლის დაწესება.

**5. წყლის რესურსების მართვა.** მიზანია, შევინარჩუნოთ ან ალვადგინოთ წყლის ჯანმრთელი სისტემა, რაც შესაძლებელია ტბებისა და მდინარეების დაბინძურებისაგან დაცვის მეშვეობით. კერძოდ, ბუნებრივი ჰიდროელექტრი საინჟინრო ტექნიკისა და წყლის ენერგიის გამოყენებით, რაც შედის როგორც აღვილობრივი თემის, ასევე გარემოს დაცვის ინტერესებში.

**6. ბუნებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა.** მიზანია, ბუნებრივი გარემოსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა-შენარჩუნება, ხოლო, სადაც საჭიროება მოითხოვს, მათი აღდგენა ისე, რომ ამუშავებულ იქნეს შესაბამისი ეკოსისტემა. შენარჩუნებულ იქნეს ცხოველთა და მცენარეთა ჯიშები. ამგვარად, ბუნებრივ გარემოს მიეცემა შემდგომი რეგენერაციის საშუალება, ამით კი იგი მთლიანად შეინარჩუნებს თავის მრავალსახეობას, განუმეორებლობას და სილამაზეს.

**7. სოფლის მეურნეობა.** მიზანია, საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად შემუშავებულ იქნეს ტრადიციულად დამუშავებადი მიწის მენეჯ-მენტი. შენარჩუნებულ იქნეს, ხელი შეეწყოს და განვითარდეს სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელიც მისაღები იქნებოდა აღვილობრივი თემის თვალსაზრისითაც.

**8. სატყეო მეურნეობა.** მიზანია, გაძლიერებულ და აღდგენილ იქნეს ტყეთა როლი, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მათი დამცავი მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ შესაძლებელი იქნება ტყეთა წინააღმდეგობრივი უნარიანობის გაუმჯობესებით, ეს კი მოხდება ბუნებრივი სატყეო ტექნოლოგიების დამკვიდრებითა და ნებისმიერი იმ საქმიანობის თავიდან აცილებით, რომელიც საზანო იქნებოდა ალპური ზონის ტყეებისათვის.

**9. ტურიზმი და დასვენება.** მიზანია, გარემოს დაზიანების წინააღმდეგ



მიმართული ქმედებათა აღკვეთით ხელი შეეწყოს ტურიზმისა და დასვენების სფეროს, გამოიყოს წყნარი ზონები.

**10. ტრანსპორტი.** მიზანია, ალპურ და ტრანსალპურ ზონებში სატრანსპორტო მოძრაობების შემცირება და დაყვანა იმ დონეზე, რომელიც საზიანო არ იქნებოდა ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეთა სამყაროსათვის. ეს კი თავის მხრივ შესაძლებელია სატრანსპორტო, განსაკუთრებით კი სატვირთო გადაზიდვების დატვირთვის რეკინგზაზე გადატანით.

**11. ენერგია.** მიზანია, დამკვიდრდეს ელექტროენერგიის გამომუშავების, განაწილებისა და გამოყენების ის მეთოდები, რომელიც შეინარჩუნებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ამასთან მისაღები იქნებოდა ეკოლოგიური თვალსაზრისითაც.

**12. ნარჩენების მართვა.** მიზანია, ჩამოყალიბდეს ნაგვის შეგროვების, შემდგომი უტილიზაციისა და ნაგავ-საყრელებისათვის განკუთვნილი ტერიტორიების გამოყოფის სისტემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ალპური ზონის სპეციფიკურ ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ და კლიმატურ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაგვის მოცილებას.

**პარპატების დაცვისა და გეგმითარების ჩარჩო-კონცენტრაცია (პივი 2003 წ.)**

ეს კონვენცია ქრონოლოგიურად უახლესია იმ საერთაშორისო ხელშეკ-

რულებების სერიას შორის, რომელთა მიზანის წარმოადგენს ევროპის მთანეთის სიტემის დაცვა და მდგრადი განვითარება. მისი მნიშვნელობა იმითაც მტკიცდება, რომ ამ კონვენციის ამოქმედების შემდეგ დღის ნესრიგში დადგა კავკასიისთვის ანალოგიური დოკუმენტის შექმნის აუცილებლობა (თუმცა, ორჯერ დაწყებული, ნამდვილად აუცილებელი, საქმე, ორჯერვე შეჩერდა!).

ძნელია იმის თქმა, რომ კარპატების კონვენცია შინაარსობრივად წინ გადადგმული ნაბიჯია ალპების კონვენციასთან შედარებით – ამას თუნდაც მისი ჩარჩო ხასიათი ადასტურებს. როგორც ჩანს, ამგვარი მიდგომა განპირობებული იყო კარპატების ქვეყნების ნაკლები ეკონომიკური პოტენციალით ალპების ქვეყნებთან შედარებით, რაც არარეალისტურს გახდიდა კონვენციის უფრო ღრმად დამუშავებას. ამასთან ერთად, არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რომ კარპატების კონვენცია მაინც ახალ საფეხურზე აიგვინს მთანაენთის ამ ეკოსისტემისაღმი საზოგადოებრივ, სამთავრობო და სახელმწიფოთაშორის ინტერესებს. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს კონვენცია სატრანსპორტო და საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას.

ამიტომ საჭიროა ჩამოყალიბეთ „ალპური კონვენციის“ კავკასიური გარიბანტი.

**განახლების სახელი**  
წყარო: [mastsavlebeli.ge](http://mastsavlebeli.ge)

## ორგანულ-მინერალური სასუჟი „ალზური“ - ხორბლისა და სიმიდის უცვი მოსავლის გარანტი

გლობალური დათვობის პირობებში უფრო რთული ხდება მაღალი სარისხის და სასურველი რაოდენობის ხორბლის მიღება. ამის გამო, მე- თად მიმდევროვანი სწორი აგრო-ტექნიკური ღონისძიებების ჩატარება და ეფექტიანი პირსტიმულაფორების გამოყენება.

შპს „სამეცნიერო-საწარმოო გა- ერთიანება ევროკამ“ შექმნა მაღა- ლეფექტიანი ორგანულ-მინერალუ- რი სასუქი „ალზურინი“, რომელმაც 5 წლის განმავლობაში წარმატებით იცდებოდა ხორბლისა და სიმინდის კულტურებში, რა დროსაც დადგინ- და, რომ „ალზურინის“ მოქმედებით 30-60%-მდე იზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავლიანობა, უმჯობეს- დება მოსავლის ხარისხი და ეკოლო- გიურად სუფთა პროდუქტი მიიღება.

**2019-2020 წლებში, პრეპარატ „ალ- ზურინის“ გავლენა შესწავლებოდა ფირმა „ლომთაგორაში“ ქართული ხორბლის ისეთ ჯიშებზე, როგორი- ცაა „თეთრი დიკა“, „ახალციხის წი- თელი დოლი“, „შავფხა“ და „ლომთა- გორა-126“.**

2019 წელს ხორბლის ნათესი პრე- პარატ ალზურინით ჯეჯილის გან- ვითარების ორ სტადიაში, პირველად – აღერების დასასრულსა და მეორედ

ყვავილობის წინ დამუშავდა. სასუქი ორივე შემთხვევაში დამოუკიდებ- ლად – „ალზურინი“ – წყალი (1:100), სხვა პრეპარატებთან შერევის გარე- შე, მარტივი წყალსწანარების სახით შესხურდა. აგროფონი ამ შემთხვევა- შიც ყველა ჯიშისათვის იყო საერთო და ფირმა „ლომთაგორაში“ მიღებულ ტექნოლოგიურ სქემას შეესაბამე- ბოდა, კერძოდ, გამოყენებული იყო მინერალური სასუქი, ფუნგიციდი, პესტიციდი და ჰერბიციდი, ასევე, ნა- თესის გარკვეულ ფართობში არ იქნა მინერალური სასუქი შეტანილი. პრე- პარატის გავლენა შესწავლილ იქნა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა: მოსავლიანობა, მცენარეთა სიმაღ- ლე და მარცვლის ნატურა. მიღებული მონაცემები მოყვანილია №1 და №2 ცხრილებში.

№1 და №2 ცხრილების მონაცე- მები მიუთითებენ პრეპარატის პო- ზიტიურობაზე, როგორც მოსავ-

ლიანობის, ისე ზოგიერთი ბიომეტ- რიული მარკენებლის ცვლილების მიმართ.

2019 წლის შემოდგომაზე, მცენა- რეთა ფესტო სისტემისა და საასი- მილაციო აპარატის განვითარებაზე პრეპარატ „ალზურინის“ გავლენის შესწავლის მიზნით, წინასწარ, ხორ- ბლის ჯიშის „ლომთაგორა-126“-ს 1 ტ თესლი დამუშავდა პრეპარატის პროპორციით „ალზურინი“ – წყალი (2:8). ხორბალი დაითესა 3.5 მლნ/ჰა რაოდენობით. ასეთივე რაოდენო- ბით დაითესა საკონტროლო ნაკ- ვეთიც, რომელიც დამუშავებული იყო იმპორტული მაღალმოსავლი- ანი მცენარეთა ზრდის სტიმულა- ტორით. 3-4 ფოთლის განვითარე- ბის შემდეგ, 14 წლებერს, საცდელ ნათეს მიესხურა „ალზურინის“ 0.5 % წყალსწანარი. დაკვირვების მონა- ცემები, რომლებიც მცენარის თეს- ვიდან 2 თვის თავზე, საშემოდგო- მო ბარტყობის ფაზის დასრულების შემდეგ და 2020 წლის 4 თებერვალს და 20 მარტს კიდევ ორჯერ ჩავატა- რეთ, მოტანილია სურათებზე 1, 2, 3 და №3-ე ცხრილში:

### ცხრილი 1

№	ხორბლის ჯიშის დასახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გმოყენება	მოსავა- ლი, ტ	მოსავლის მატება, %	მარცვლის ნატურა, გრ	± გრ	მცენარის სიმაღლე, სმ	± სმ
1	შავფხა	0.5	პრ.გარეშე	2.25		700		130	
	შავფხა	0.5	პრეპ. დამუშ	2.95	31.1	710	+10	142	+12
2	ახალც.ნ.დოლი	0.5	პრეპ.გარეშე	2.60		720		120	
	ახალც.ნ დოლი	0.5	პრეპ. დამუშ	3.31	27.3	739	+19	128	+8
3	თეთრი დიკა	0.5	პრეპ. გარეშე	2.35		755		117	
	თეთრი დიკა	0.5	პრეპ. დამუშ	2.98	26.8	767	+12	122	+7

### ცხრილი 2

№	ხორბლის ჯიშის დასახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გმოყენება	მოსავა- ლი, ტ	მოსავლის მატება, %	მარცვლის ნატურა, გრ	± გრ	მცენარის სიმაღლე, სმ	± სმ
1	შავფხა	0.5	პრ.გარეშე	1.86		630		123	
	შავფხა	0.5	პრეპ. დამუშ	2.32	24.7	649	+19	135	+12
2	ახალც.ნ.დოლი	0.5	პრეპ.გარეშე	2.20		685		103	
	ახალც.ნ დოლი	0.5	პრეპ. დამუშ	2.67	21.3	705	+20	113	+10
3	თეთრი დიკა	0.5	პრეპ. გარეშე	2.02		715		105	
	თეთრი დიკა	0.5	პრეპ. დამუშ	2.41	19.3	732	+17	116	+11

## ცხრილი 3

№	ვარიაციის დასახელება	ერთი თესლიდან განვითარებულ ფოთოლთა და ღეროთა რაოდენობა (საშ.)	ფესვთა სისტემის განვითარებული
1	ალზურინი	8.72 ფოთოლი (14.11.2019)	9.1 ღერო (04.02.2020) 7.7 ლორი (20.03.2020) ძლიერად განვითარებული
2	საკონტრ. (იმპ- ორტ. სტიმულატ.)	4.43 ფოთოლი (14.11.2019)	4.5 ღერო (04.02.2020) 3.5 ლორი (20.03.2020) საშუალოდ განვითარებული



სურათი 1. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი (27.11.2019)



სურათი 2. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი (04.02.2020)





სურათი 3. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი (20.03.2020)

## ცხრილი 4

№	ვარიაციის დასახელება	მცენარის ბიომასა $1\text{m}^2$ -ზე	მცენარის სიმაღლე	თავთავების რაოდენობა	თავთავების მასა
1	ალზურინი	6.4 კგ	98 სმ	872 მათ შორის 66 პატარა	2.3 კგ
2	საკონტრ. (იმპ- ორტ. სტიმულატ.)	4.2 კგ	81 სმ	720 მათ შორის 140 პატარა	1.6 კგ



სურათი 4. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი (29.05.2020)



სურათი 5. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვენავ – აღზურინი. ერთნაირი ზომის ფურცელზე დაღაგებულია 20-20 თავთავი თითო-ეულ რიც ზე (29.05.2020)

ცხრილი 5.

№	ხორბლის ჯეშისა და სახელება	ფართ. ჰა	პრეპარატის გამოყენება	მოსავალი, ტ	მოსავლის ზატება, %
1	LG-126	1	საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი)	4.8 ტ	
2	LG-126	1	ალზურინი	7.9 ტ	+64.5 %

2020 წლის 16 ივნისს მოხდა „ალ-ზურინით“ დამუშავებული მოსავლის აღება, ხოლო 12 დღის შემდეგ – საკონტროლო. შედეგები მოყვანილია კხრილში 5.

როგორც ირკვევა, „ალზურინი“ არა მარტო საშუალოდ 64 %-მდე ზრდის მოსავლიანობას, არამედ 2 კვირით აჩქარებს მის მომწიფებას.

2019 წელს პრეპარატ „ალზურინი“ გავლენა შეისწავლებოდა სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორა-1“-ზე. დაოს-ვამდე 1 ტ თესლი დამუშავდა პრო-პორციით ალზურინი-წყალი-ფუნგი-ციფი 2:8:0.5. იცდებოდა თესლის და-

მუშავების და ვეგეტაციის პერიოდში  
2-კერადი შესხურების ეფექტიანო-  
ბის თვალსაზრისით. აგროფონი იყო  
ერთნაირი და შეესაბამებოდა ფირმა  
„ლომთაგორაში“ მიღებულ აგრო-  
ტექნოლოგიურ ფონს.

შესწავლილი იქნა პრეპარატის  
გავლენა მოსავლიანობაზე მხოლოდ  
პრეპარატით დამტკაცებული თეს-  
ლით ნათესი ფართობებისათვის შეს-  
ხურების გარეშე და აგრეთვე, ამგ-  
ვარი თესლით ნათეს ფართობებზე  
2-ჯერადი შესხურებით მიღებული  
ეცემტინიანობის დასადგენად. დაკვირ-  
ვების მასალები თავმოყრილია № 6-ე  
და № 7-ე ჯხრილებში.

## კვერილი 6. სასუქთან ერთად

№	ვარიანტის დასახელება	მოსაცლიანობა, ტ/ჰა მხოლოდ თესლის დამუ- შავება	მოსაცლიანობა, ტ/ჰა თესლის დამუშავება + შესხურება	მატება %-%ი, მხოლოდ თესლის დამუშავება	მატება %-%ი, თესლის დამუშავება + შესხურება
1	ალზურინი 1	7.8	7.9	+23.8	+25.4
2	საკონტროლო	6.3			

### კუნძული 7. სასუურის გარეშე

Nº	ვარიანტის დასახელება	მოსავლიანობა, ტ/ჰა მხრივ თესლის დამუ- შავება	მოსავლიანობა, ტ/ჰა თესლის დამუშავება + შესურება	მატება %-%ი, მხრივ თესლის დამუშავება	მატება %-%ი, თესლის დამუშავება + შესურება
1	ალზურინი 1	7.0	7.2	+29.6	+33.3
2	საკონტროლო	5.4			

როგორც ცხრილების მასალებიდან ირკვევა, „ალზურინი“-ის შემთხვევაში მოსაცვლიანობის მატების მონაცემები 23.8-დან 33.3-მდე პროცენტის ფარგლებში ცვალებადობს.

ტაროს ანალიზისას გამოიკვეთა  
გარკვეული ცვლილებები, ტაროზე  
განვითარებული მარცვლის მწკრი-  
ვების რაოდენობათა მიხედვით. კერ-  
ძოდ, სიმინდის პიბრიდ „ლომთაგო-  
რა-1“-სათვის დამახასიათებელი 14-  
16 რიგის ნაცვლად, „ალზურინი“-ის  
შემთხვევაში 18 მწკრივიანმა ტარო-  
ების რაოდენობამ შეადგინა 14 პრო-  
ცენტი, რაც ჩვენი აზრით, როგორც  
ფესვთა სისტემის, ასევე, საასიმილა-  
ციონ აპარატის მიმართ პრეპარატის  
აქტიური ზემოქმედების შედეგია.

2020 წლის გაზაფხულზე პრეპარატ „ალზურინით“ დამუშავდა 1 ტ. სიმინდის ჰიბრიდ „ლომთაგორა-1“-ის თესლი პროპერციით – ალზურინი-წყალი-ფუნგიციდი 2:8:0.5. ვეგეტაციის გენერირობიდში 2-ჯერ შესხვრდა. აგროცემონი იყო ერთნაირი და შეესაბამებოდა ფირმა „ლომთაგორაში“ მიღებულ აგროტექნიკურ ფონს. ალზურინით დამუშავებულ თესლს გამოიუვალინდა გალივებისა და ალმოცენების მანქრაფი უნარი და განვითარების მაღალი ტემპი, რითაც მნიშვნელოვნად აძლავაჭარბა საკონტროლო ნათესებს. მიერთავ მოყვანილია სურათზე 6.





**სურათი 6. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი. (08.07.2020)**

10 აგვისტოს შევამოწმეთ ტარო-ების განვითარების ხარისხი. შედეგები მოყვანილია სურათზე 7 და ცხრილში 8.

აღსანიშნავია, რომ იმპორტული სტიმულატორით დამუშავებული 5 საუკეთესო ტარო შერჩეულ იქნა უახლოესი 25 მცენარიდან, ხოლო

ალზურინით დამუშავებული კი 7 მცენარიდან. ამასთან, საკონტროლო ტაროები ყველა დაზიანებული იყო მავნებლის მიერ, ხოლო ალზურინით დამუშავებული კი ყველა ბოლომდე იყო განვითარებული. როგორც ჩანს, ალზურინი არა მატ-რო ზრდის მოსავლიანობას, არამედ იცავს მცენარეს მავნებლებისაგან. ასეთი მაღალი შედეგი მიღწეულ იქნა მიუხედავად იმისა, რომ ივნისის თვეში ნათესები ძლიერად დაისეტყვა.

**ცხრილი 8. საშუალო მაჩვენებელი 1 ტაროზე გადაანგარიშებით**

ვარიანტის დასახელება	მნერივების რაოდენობა	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	მარცვლის რაოდენობა	წონა, გ	მატება
ალზურინი	16	21	4.5	684	309	49.27 %
საკონტროლო	16	17	4	544	207	-



**სურათი 7. მარცხნივ – საკონტროლო (იმპორტული სტიმულატორი), მარჯვნივ – ალზურინი. (10.08.2020)**

**ცხრილი 9. გაანალიზებულია 5 მცენარე**

ვარიანტის დასახელება	განვითარებული ფოთოლი	სიმაღლე, სმ	წონა, გ	მატება
ალზურინი	10	110	853	139.6 %
საკონტროლო	10	80	356	-



ალსანიშნავია, რომ საკონტროლოდ შერჩეული მცენარეების მსგავსი განვითარების მაჩვენებელი – 0.5 %, ხოლო აღზურინით დამუშავებულისა კი – 45 %.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ევრიკას“ მიერ მოწოდებული პრეპარატი „აღზურინი“ უდაოდ ეფექტიანია როგორც სიმინდის, ასევე, ხორბლის მოვლა-მოყვანის საქმეში. პრეპარატი უკვე სერტიფიცირებულია, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს „აღზუ-



სურათი 8. მარცხნივ – საკონტროლო, მარჯვნივ – აღზურინი. (10.08.2020)

რინი“ გამოიყენონ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებში.

**აღზურინის სირთლები,**  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა უროვნეული აკადემიის  
სტამბენდიანტი,

პრეპარატის გამოცდის დროს კონსულტაციას გვინევდა, სმმ დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი აგრონომი,  
ადოლ ტყუშელაშვილი

დაგვიკავშირდით: 599 77 51 46

## გიორგიევის ტურინგი

### ლაგიდინი თუ ტურინგი?

ტურინგი და ლაგიდინი „პიონაგრო – მცენარეთა პიოლოგიური დაცვის ცენტრის“ მიერ წარმოაგული იცხატილიდებია, რომლებიც ზორავრულ გაზარება მაღალი შედეგითან სარგებლობენ. თუმცა, მაიც ეშირია შემთხვევები, როდესაც ამ ორ პრეპარატს ახა თუ იმ მავნებლის წინააღმდეგ პრასტრონად იყენებან და შესაბამისად, შედეგიც არასახარისიერი დგინდა.

წარმოგიდგენთ ტურინგენისა და ლეპიდინის მთავარ საერთო და განმასხვავებელ მახასიათებლებს, რომლების მიხედვითაც ორგანულ და შერეულ მეურნეობებში წარმატებით დაუმკლავდებით მავნებლებს.

#### ორგვე მათგანი არის:

- ინსექტიციდი;
- ბიოლოგიური;
- ლავრაციდული მოქმედების (გამოიყენება მავნებლის მატლის ფაზაში);
- 2%-იანი სამუშაო ნაზავი (ხშირ შემთხვევაში);
- გამოიყენება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურაში.

ლეპიდინი – (სერტიფიცირებულია კავკასიერტის მიერ) გამოიყენება ქერცლფრთიანების რაზმის მნერების ლავრების წინააღმდეგ.

**ბაქტერია: BACILLUS TURINGIENSIS var. KURSTAKI**

**მოქმედების სპექტრი:** ამერიკული თეთრი პეპელა, ყურძნის ჭია, ვაშლის და ხეხილის ჩრჩილი, კუნელის თეთრულა, ფოთოლხვევიები; აბრეშუმხვევიები; ვაშლის ნაყოფჭამია; ხურტკემლის ალურა; მოცხარის ფოთოლხვევია, მდელოსფარვანა, კარტოფილის ჩრჩილი, პომიდორის ჩრჩილი, კომბოსტოს ხვატარი; კომბოსტოსა და სათბურის ფრთათეთრა, თაღვა-მის თეთრულა; კომბოსტოს ჩრჩილი; ალურები; ბამბის ხვატარი, მარცვლეული სხვატარი, იონჯას ხვატარი, მზომელები, ფოთოლხვევიები, ოქროჟედა, მწვანე ფოთოლხვევია, არაფარდი პარკხვევია, ფიჭვის აბრეშუმხვევია, ფიჭვის ხვატარი, ფიჭვის მზომელა, აგრეთვე ზაფხულ-შემოდ-



გომის სხვა ქეცფრთიანი მავნებლები.

**ტურინგენი** – (სერტიფიცირების პროცესშია) გამოიყენება ხემშფრთიანების რაზმის მნერების ლავრების, თრიფლების, ბუგრების წინააღმდეგ.

**ბაქტერია: BACILLUS TURINGIENSIS var. TURINGIENSIS**

**მოქმედების სპექტრი:** კოლორადოს ხოჭო, ფოთოლჭამიები, ცხვირგრძელები, მილხვევიები, მემარცვლები, თრიფლები, ბუგრები და სხვა.

ამ ინფორმაციის საფუძველზე, ცალკე სპექტრი აქვს ლეპიდინს, ცალკე სპექტრი აქვს ტურინგენს. საჭიროების შემთხვევაში ცალ-ცალკე უნდა გამოვიყენოთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი კომპლექსურად.

## მარცვის უებაღლებულ გაზო-კვალზა და სხვა სისტემებით დარპვის გათოვი

თანამედროვე მარცვის პლანტაციებში ზველაზე ხშირად მარცვს შეაღლებულ გაზო-კვალზა („პეზი“) რჩავთ.

მარცვის გაშენების ამგვარი ტექ-  
ნოლოგია ითვალისწინებს: დამუშა-  
ვას პოლიეთილენის, ან სხვა სამულ-  
ჩე მასალის გამოყენებით, წვეთოვანი  
საირიგაციოს სისტემის გამოყენებას,  
რითაც მცენარეს ანვდიან წყალს და  
საკვებ ნივთიერებებს.

რადიციული სისტემისგან განსხ-  
ვავებით, ალნიშული ტექნოლოგია  
ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სა-  
რეველებისა და დაავადებების კონტ-  
როლს; საშუალებას იძლევა მარცვის

ნაყოფი იყოს სუფთა, ნაკლებად და-  
ისვაროს მიწით დამაბინძურებლები-  
საგან.

აღნიშული დარგვის სისტემის  
გამოყენებისას მცენარეები ირგვე-  
ბა ერთ ან უპირატესად ორ რიგად,  
(ზოგჯერ 3-4 რიგად) ერთ შემაღლე-  
ბულ კვალზე.

შემაღლებული კვალის სასურველი  
ზომებია: სიმაღლე 20-30 სმ, სიგანე  
35-50 სმ, კვლების შუაწერტილებს  
შორის დაშორება 1,1-1,3 მეტრი.



ორმნერივიანი სისტემის შემთხვე-  
ვაში მცენარეებს შორის მანძილი შე-  
ადგენს 25-30 სმ-ს, ხოლო მწკრივებს  
შორის მანძილი – 15-20 სმ-ს. დარგვა  
ამ დროს ჭადრაკული წესით ხდება.

ერთმნიშვინიანი რიგში მცენარეებს  
შორის მანძილი შეადგენს 15-20 სმ-  
ს. საშუალოდ ერთ გრძივ მეტრზე 5-7  
მცენარე ირგვება.

### აგროსაობა

## ყველა მიზურიერ უდის იცოდას, რომ...

ჩალგატონი ვეროა სტეპანიშვილი გიზუტპრეობის დარგის დაწლეო-  
სილი მეცნიერი და გამოცემილი საეპიალისტია, რომლის რჩევა, როგორც  
დამწერა, ისე სტაჟიან გიზუტპრეობისაც გამოადგინა.

1) ფუტკრის ჯიში არ არსებობს,  
რადგან იგი ადამიანს არ შეუქმნია და  
ეკუთვნის თაფლის მომცემ სახეობას.

2) ფუტკარი ველური მწერია და  
დღემდე ცხოვრობს ველური ინს-  
ტიქტებით, რომელთა უმრავლესობა  
ადამიანისათვის ჯერ კიდევ შეუც-  
ნობადია. იგი შრომისმოყვარე, წეს-  
რიგიანი ოჯახის პარმონიულობის,  
მომჭირნეობის, სიმდიდრის სიმბო-  
ლოა და ექვემდებარება ცხოვრების  
ეკონომიკურ კანონს.

3) ფუტკრის ოჯახი ირი დაპირის-  
პირებული სქესის მდედრობითი და  
მამრობითი ინდივიდების ერთობლი-  
ობაა, რომლებიც გროვებად ცხოვრო-  
ბენ და ერთმანეთის გარეშე არსებობა  
არ შეუძლიათ. ფუტკარი არ ექვემდე-  
ბარება მოშინაურებას, რადგან მო-  
შინაურებულ ცხოველებს ადამიანი  
არამარტო უცვლის ცხოვრების საარ-  
სებო პირობებს, არამედ თავისი შრო-  
მის იარაღად აქცევს ( აქლემს საპალ-  
ნეს ადგამს, ცხენს – უნაგირს, ხარებს  
აბამს უღელში). ცხოველთა მოშენება  
ითხოვს ადამიანის ზრუნვას, მოვ-  
ლა-პატრონობას, მათ გამრავლებას,  
სანიტარულ-ჰიგიენური პირობების

დაცვას. ფუტკრის მოშინაურებაში  
ადამიანის როლი მხოლოდ გარემოს  
გამოცვლაში გამოიხატება და მის ბი-  
ოლოგიაში ვერავითარ გარდაქმნას  
ვერ ახერხებს. ფუტკარი შინაურ პი-  
რობებში იმავე ფუნქციას ასრულებს,  
რასაც ველურობაში აკეთებდა.

4) ფუტკრის ოჯახის მთავარი საზ-  
რუნავი ალზრდა და საკვები მარაგის  
დაგროვებაა.

5) ფუტკრის ოჯახში როგორც კა-  
ნონი, ერთი დედა და ატაზზმი, ანუ  
ორ დედიანობა არ ახასიათებს. თუმ-  
ცა არის იშვიათი შემთხვევა, როცა  
ნლის გარკვეულ პერიოდში ძველ დე-  
დასთან ერთად ახალი დედის თანა-  
არსებობისას გარკვეული პერიოდის  
შემდეგ რჩება ერთი დედა.

6) ფუტკრის ოჯახის ნევრებს ნარ-  
მოადგენენ დედა და მუშა ფუტკარი-  
მდედრი, ხოლო მამრობითი სქესის  
ინდივიდები არიან მამლები. დედა  
ფუტკარი ველაზე დიდი ზომისა და  
წონისაა. 4 დედა ინონის 1გ-ს, 10 ცალი  
მუშა ფუტკარი 1გ-ს, 5 მამალი 1გ-ს.

7) დედა ფუტკრის ბიოლოგიური  
განვითარების ციკლი მოიცავს 16-17  
დღეს, როგორთაგან კვერცხის სტა-

დია 3, ხოლო ღია ბარტყის – 5დღე,  
გადაბეჭდილი ბარტყის 8-9 დღე.

8) ფუტკრის დედები ოთხი სახისაა:  
გაუნაყოფიერებული, განაყოფიერე-  
ბული, გაცრუებული (რომელსაც გა-  
მოელია სპერმატოზოიდები და ჯერ  
კიდევ ახალგაზრდამ დაინყო სამამ-  
ლე კვერცხის დება) და ბერნი, ანუ  
უნაყოფო დედა

9) ბერნი – უნაყოფო დედაა, რომე-  
ლიც დაბადებიდან 10 დღის განმავ-  
ლობაში ვერ შეუდლდება მამალთან,  
რის გამოც მასში ჩაკვედება შეუდლე-  
ბის სურვილი და ინყებს გაუნაყოფი-  
ერებელ კვერცხის დებას.

10) სკიდან გასანაყოფიერებლად  
გამოფრენილი დედა აფრინდება  
8-10მ სიმაღლეზე, რათა სამუშაო-  
დან დაბრუნებული მუშა ფუტკრის





ნაკადში არ მოხვდეს და არ დაზიანდეს, შემდეგ კი გაფრინდება პორიზონტალური მიმართულებით. დავიმახსოვროთ: დედა ფუტკრის განაყოფიერება გასანაყოფიერებლად გუნდურად გაფრენილ მამლებიდან მხოლოდ ერთ – ყველაზე ოჯორთან ხდება. თუ ახალგაზრდა განაყოფიერებულმა დედამ ვერ მოასწრო კვერცხისძება და დაზამთრებაში შევიდა, გაზაფხულზე იგი ნორმალურად დაიწყებს კვერცხისძებას. მეფუტკრე როცა შეამჩნევს, რომ დედა ფუტკრი უხარისხოა, როგორი ახალგაზრდაც არ უნდა იყოს იგი, მას არ უნდა გაუხანგრძლივოს სკაში ყოფნა და დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს სათადარიგო დედით, ან ძლიერი ოჯახიდან უდედო, ან უხარისხო დედიან ოჯახში ახალი დედის გამოსაყვანად ბუდის შუაში (სადაც მეტი სითბო) ჩადგას ახლად ჩაკვერცხილი და რძეში მოტივტივე ღია ბარტყებინი ჩარჩო. გვახსოვდეს, რომ ადრე გაზაფხულზე დედის გამოყვანა არ შეიძლება, რადგან ამ პერიოდში მამალი სკაში არ არის, ახლად გამოყვანილი დედის განაყოფიერება ვერ მოხდება და დედა გაუნაყოფიერებელი დარჩება. ახალგაზრდა თაობის მისაღებად 45 დღეა საჭირო, რადგან 16-17 დღე სჭირდება დედის გაჩენას, 1 კვირა განაყოფიერებას, ხოლო 21 დღე მუშა ფუტკრის დაბადებას, მამალი ფუტკრის გამოყვანას კი 24 დღე, რომლის სქესობრივ მომწიფებას ესაჭიროება კიდევ 12-14 დღე, ამიტომ, გაზაფხულზე უდედო ოჯახს უნდა მივცეთ სათადარიგო განაყოფიერებული დედა, რომელიც მაშინვე დაიწყებს კვერცხის დებას და ფუტკარი მოასწრებას ახალი თაობის გამოზრდას და ღალიანობასთან შეხვედრას.

11) ფიჭის უჯრედებზე მოსიარულე დედას უკან დაჲყვება 10-12 მუშა ფუტკრისგან შემდგარი ამალა, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ კვერცხდების პერიოდში დედის გამოკვება მათ მიერ გამომუშავებული სადედერით, რომელიც ითვლება კვერცხის დების სტიმულატორად.

12) ხშირად ფიჭის უჯრედების უკამარისობის გამო დედა ფუტკარი კარგავს კვერცხებს, ამ შემთხვევაში, როგორც ძლიერი, ისე სუსტი ოჯახის ფუტკრები ასეთ კვერცხებს თვითოონ ჭამენ. დედა ფუტკარი კვერცხებს თანმიმდევრულად დებს ფიჭის შუა გულზე არსებული უჯრედებიდან პერიფერიისკენ უჯრედების გამოუტოვებლად, რის შემდეგ გადადის მეორე ფიჭაზე, ამიტომაც თითოეულ ფიჭაზე თითქმის ერთი ასაკის ბარტყეს ვევდებით, რომელსაც ტალღისებურად იკავებს კვერცხი, ღია და შემდეგ გადაბეჭდილი ბარტყი.

13) როცა ოჯახი დიდი ხნის განმავლობაში უდედოდ არის დარჩენილი და ოჯახში ბარტყი აღარ არის, ველარსარჯავს რძისმაგვარ ნივთიერებას და მუშა ფუტკრები მათ მიერვე გამომუშავებული რძისმაგვარი ნივთიერებით თვითონვე იკავებებიან, რის გამოც, უდედობიდან 7 დღის შემდეგ უვითარდებათ საკვერცხე მიღლაკები და მამალთან შეუღლების გარეშე, მე-17 დღიდან იწყებენ სამუშე და ნახევრად ჭეოიან სამუშე უჯრედის ფსკერზე ჩაყრით გაუნაყოფიერებელ რამდენიმე კვერცხის დებას. ასეთი დედები მრავლად არიან ნარმოდგენილი და ენოდებათ ცრუ დედები, საიდანაც იჩეკებიან პატარა ზომის მამლები, რომლებსაც დაკარგული აქვთ მამრობითი ფუნქციის შესრულების უნარი, ისინი ანატომიურ დედას არ

ნარმოადგენენ და მუშა ფუტკრები არიან, მათ მიერ სამუშე უჯრედში ერთ-ერთ კვერცხიდან გამოყვანილ ბარტყეს, რომელიც უჯრედში ვერ ეტევა, რის გამოც ფიჭის უჯრედს წამოზრდიან, ცვილით დახურავენ და ბეჭდავენ, რომელსაც კუზიან ბარტყეს უწოდებენ, რაც ცრუ დედიანობისათვის დამახასიათებელი ნიშანია. დედის არსებობაზე ოჯახის გასინჯვას ვიწყებთ ბუდის შუიდან და იქიდან გადავდივართ მის გაგრძელებაზე.

უდედობაზე ეჭვი უნდა შევიტანოთ მაშინ, როცა გამოფრენილი ფუტკრები უწესრიგოდ ფრენენ, ცოცავენ მისაფრენ ფიცარზე და თითქოს რაღაცას ექცებენ, საფარი ტილოს გადაწევით გამოსცემენ ფოთლის შრიალისებურ ხმას, მუცელი აბზეკილი აქვთ და ფრთხებს სუსტად ამოძრავებენ, ფიჭის უჯრედებში ნაკვერცხი არ არსებობს, საფრენ ხვრელზე აღინიშნება წვრილი ლაქები. დედის ხარისხი დამოკიდებულია არა ასაცზე, არამედ კვერცხისმდებლობაზე.

14) დედის არსებობის ადგილს გვკარნახობს ხშირად ფუტკრის ქცევები, დედას ვეძებოთ იქ, სადაც ფუტკარი გროვად არის ნარმოდგენილი.

15) თუ ჩარჩოზე ვერ ვნახავთ კვერცხს და ვერც ფუტკრის ქცევა მიგანიშნებს უდედობას, ოჯახს უნდა მივცეთ დედა საკონტროლო ჩარჩოთი. თუ საკონტროლო ჩარჩოზე ფუტკარი სადედეს არ ჩამოაშენებს, ეს იმსა ნიშნავს, რომ ოჯახს ჰყავს დედა, მაგრამ იგი უვარგისია, ასეთი დედა მეუტკრებ უნდა მოაცილოს ოჯახს და ახალი დედა მისცეს ხუფის ქვეშ მოთავსებით, ან გალიით ბუდის ცენტრში, რომელში არსებულ დედასაც მეორე დღეს გაანთავისუფლებენ. ხუფის ქვეშ მოთავსებულ დედას კი ფუტკრები ხუფის ირგვლივ ფიჭის უჯრედების გამოღრღნით გაანთავისუფლებენ.

16) დედის შეცვლას ახდენენ ასევე ოჯახში არსებული დაბალპროდუქტული, ან ფრთხებ შეცვეთილი, ფიზიოლოგიურად დაბერებული დედის შემთხვევაში.

17) დედა ფუტკარი ძალიან დიდი პატივისცემით სარგებლობს ოჯახში, მაგრამ დედის მიმართ სიძლულვილიც უჩნდებათ, ეს მაშინ ხდება, როცა ოჯახიდან დედას ამოიყვანენ და 4-5 საათის შემდეგ ღაჯის იგრძნობს რა უდედობას, იწყებს სადედეების ჩამოშენებას. თავისი დედის მიმართ უჩნ-

დებათ სიძულვილი და მას აღარ იღებენ. თუ საჭროება მოითხოვს, მისი მიღება შეიძლება გალიაში მოთავსებით და 1-2 დღის შემდეგ მისი გაშვებით. ასე რომ, საკუთარი დედის დაობლებიდან 3-4 საათის შემდეგ, როცა ყალიბდება უდედობის ინსტიქტი, თავის დედას აღარ იღებენ, რადგანაც უკვე დაწყებული აქვთ ახალი დედის გამოსაყვანად სადედების ჩამოშენება.

18) მუშა ფუტკარი. მისი სასქესო ორგანოები შედგება 20-მდე საკვერცხე მილაკისაგან. ვინაიდან სასქესო ორგანოები მათ განუვითარებელი აქვთ, მუშა ფუტკრებს არ შეუძლიათ მამალთან შეულლება, მაგრამ როცა დიდი ხნით უდედო ოჯახში ბარტყი აღარ არის, ისინი იკვებებიან მათ მიერვე გამომუშავებული რძისმაგვარი ნივთიერებებით, უდედობიდან 7 დღის შემდეგ უვითარდებათ საკვერცხე მილაკები და მამალთან შეულლების გარეშე მე-17 დღიდან დებენ სამუშე და ნახევრადჭეოიან უჯრედში გაუნაყოფიერებელ კვერცხებს თითო, ან რამოდენიმე ცალს უჯრედის ძირზე მათი ჩაყრით, ამიტომაც, ისინი იწოდებიან ცრუ დედებად.

19) ერთი ცრუ დედა თავის სიცოცხლეში 19-32 ცალ კვერცხს დებს, კვერცხების დადებიდან 6-7 დღის შემდეგ სამუშე უჯრედში სამამლე კვერცხიდან გამოსული ბარტყი ვეღარ ეტევა, ამიტომ უჯრედებს აგანიერებენ, წამოზრდიან და ბეჭდავენ. ასეთ ბარტყს, როვორც აღვნიშნეთ, კუზიანი ბარტყი ენიდება.

20) ცრუ დედებს მცირე რაოდენობით მოაქვთ ნექტარი. ცვილს არ გამოყოფენ, ამიტომ მათ სამეურნეო მნიშვნელობა არ აქვთ.

21) მუშა ფუტკრების ფუნქციებია: ოჯახში ტემპერატურის რეგულირება, ბარტყის და დედის გამოკვება, ფიქების მშენებლობა, სკის განივება, ნექტრის თაფლად გადამუშავება, ბუდის დაცვა დაუპატიჟებელი სტუმრებისგან, ყვავილის მტვერის, წყლის, დინდგელის, ნექტრის შეგროვება. 6-7 დღის ასაკიდან 14 დღის ასაკამდე დღეში რამოდენიმეჯერ კუჭის გასაწმენდად გამოფრინდება და თან ადგილს, სკის ფერს და ადგილსამყოფელს იმახსოვრებს, აკეთებს ჰაერში წრებს. ამ ასაკში მას არ მოაქვს არც ნექტარი და არც წყალი.

22) სკაში დაბრუნებულ შშიერ ფუტკარს დამხვედრი ფუტკრები საკვებებს ანვდიან. გამონაკლის შემთხვევ-

ვაში, როცა ძირი ფუტკრები ოჯახში საკმარისი არ არიან, ბარტყის ძველი ფუტკრებიც კვებავენ.

23) ძირი ფუტკრები ტემპერატურას არეგულირებენ და ინარჩუნებენ 34° ტემპერატურას და 65-68% ტენიანობას, რისთვისაც უხვად იკვებებიან თაფლით. ნესტიან ჰაერს უკეთებენ ფრთებით ვენტილაციას, ფუტკარი გარეთ გროვდება საფრენზე ჩამოკიდებული და ვენტილაციას საფრენის გარედან ანარმობენ. სუფთა ჰაერს სკაში გარედან ერევებიან, სკიდან კი თბილ ჰაერს გარეთ დევნიან. ნექტრის შესაგროვებლად ფუტკარს შეუძლია გაფრინდეს 15-30 კმ/სთ სიჩქარით 5-8 კმ-ზე. უტვირთოდ კი - 65 კმ/სთ სიჩქარით. 2-3 დღის ასაკის მუშა ფუტკრები მუშაობენ უჯრედების გასუფთავებაზე, 3 დღის შემდეგ კი უკვე ძირი და ასაკამდე 7 დღის ასაკამდე.



მუშა ფუტკარმა უნდა მოამზადოს თაფლის და ჭერს ნარევი ღია ბარტყის გამოსაკვებად მათ მიერ ზედა ყბის და საყლაპავი ჯირკვლებით გამომუშავებული რძისმაგვარი ნივთიერებით.

24) 13-15 დღის ფუტკარი მინდორში სამუშაოდ ემზადება, რამოდენიმე დღე ადგილმდებარების დასამახსოვრებლად გამომდერას იწყებენ.

25) საცვილე ჯირკვლები მუშა ფუტკარს დაბადებიდან პირველივე დღეს უვითარდებათ, მაგრამ ცვილის გამოყოფას სარკეზე იწყებენ 3-5 დღის ხნოვანებიდან.

26) ცვილის მაქსიმუმს მუშა ფუტკრები სიცოცხლის 12-დან 18 დღემდე ანარმობენ. მთავარი დალიანობის დროს ისინი მაქსიმალური რაოდენობით გამოყოფენ ცვილს.

27) შემოდგომაზე დაბადებულ ფუტკრებს საცვილე ჯირკვლები გაზაფხულზე უვითარდებათ და მაშინვე იწყებენ ცვილის გამოყოფას და ცვილის გამოყოფით ეს ხნიერი ფუტ-

კრები ფიზიოლოგიური მდგომარეობით ახალგაზრდა ფუტკრებს ემსგავსებიან. 24 დღის ასაკიდან გადადიან ღალის შეგროვებაზე. ხარჯავენ 1-2 ჭიქა წყალს. დღეში აკეთებენ 8-10 გამოფრენას, 24 დღის ასაკიდან უვითარდებათ თავდაცვის ინსტიქტი.

28) მზვერავი ფუტკრები ისეთი მუშა ფუტკრებია, რომლებიც სკის შიგნით თავისებური ცეკვებით ატყობინებენ ფუტკარს ღალის შეგროვების ადგილს.

29) ფუტკრებს, რომლებიც ნექტარს, ყვავილის მტვერს აგროვებენ, მოღალე ფუტკრები ეწოდებათ.

30) იმ ფუტკრებს, რომლებიც მოტანილ ნექტარს იღებენ და თაფლად გადამუშავებენ, მიმღებ ფუტკრებს უწოდებენ, მაგრამ თუ მიმღები ფუტკრები დაკავებული არიან, მაშინ მოღალე ფუტკრები თვითონვე გადამუშავებენ ნექტარს და ჩასხამენ უჯრედში. ნექტრის გადამუშავება ხდება ჩიჩახვში საყლაპავი ჯირკვლის მიერ გამოყოფილ სეკრეტთან-ინვერტაზათან ერთად. საქართვას (ლერნმის შაქარი) შლიან გლუკოზა და ფრუქტოზად, რის შემდეგ მას ჩასხამენ ფიჭის უჯრედებში, ფუტკრები ააორთქლებენ ზედმეტ წყალს და ნექტარს გარდაქმნიან თაფლად.

31) ზამთარში წყალზე სურვილის დასაკმაყოფილებლად ბუდეში ცენტრალურ ჩარჩოზე ჩასხმულ თაფლს სპეციალურად ტოვებენ გადაუბეჭდავად.

32) იმ ფუტკრებს, რომლებიც იცავენ თავის ოჯახს სხვა ფუტკრების შელნებისგან, ან მავნე მწერებისაგან, დარაჯ ფუტკრებს ეძახიან, რომლებიც ამავე დროს ასრულებენ ვენტილატორი ფუტკრების ფუნქციას. თუ ფუტკრები გზაბანეული, თავზაღუნული, საფრენთან არიან ძირზე დაშვებული ბოლოოთი, ნელში მოხრილები არიან და დატვირთული არიან ნექტრით და მტვერით, მაშინ ფუტკარი მათ შეუშვებს თავიანთ სკაში.

33) ფუტკარს არ სძინავს, რადგან მათ არ აქვთ უნარი თავის ორგანიზმში დააგროვონ საკვები ნივთიერების დიდი რაოდენობა.

34) მუშა ფუტკრებს ვინაიდან მცირე რაოდენობის საკვერცხე მიღები აკეთებათ, მათ არ შეუძლიათ მამალთან შეუღლება.

35) ნაყრის დასახლება ხელოვნურ ფიჭაზე არ შეიძლება, რადგან სიძიმისაგან ისინი ჩამოინგრევა. ასეთ



შემთხვევაში კარგია, თუ ჩაუდგამენ ღია ბარტყისან ჩარჩოსაც.

36) მამალი ფუტკარი ასრულებს შთამომავლობის აღნარმოების ფუნქციას. მათი მიზანი გვარის გაგრძელებაა. მამალი ფუტკარის დანიშნულება ერთადერთია – დედა ფუტკარის განაყოფიერება ჰაერში. მამლები განთავისუფლებულნი არიან საოჯახო ზრუნვისაგან. მამლების ბიოლოგიური განვითარების ციკლი მოიცავს 24 დღეს. აქედან 3 დღე – კვერცხის, 6,5-ლია ბარტყის და 14,5 დღე ჭუპრობის.

37) მამა ფუტკარს დიდი ღონე, მსხვილი თვალები, დიდი ულვაშები, 5-ჯერ მეტად განვითარებული ყნოსვის უჯრედები აქვს, რას ეხმარება მას საქორწინო გამოფრენის დროს დედა ფუტკარის მოძებნაში. მამალ ფუტკარს არ აქვს თავდაცვის უნარი, არ აქვს საცხილე ჯირკვალი, უკანა ფეხებზე ყვავილის მტვრის შესაგროვებელი კალათა, მუშა ფუტკართან შედარებით ორჯერ ნაკლები ხორთუმის სიგრძე აქვს, რის გამოც მას არ შეუძლია არც ნეტტრის შეგროვება და არც საამისო ინსტიქტი არ გააჩინა. ერთ მამალს სჭირდება 5-6 მუშა ფუტკარისათვის საჭირო საკვები ულუფა. სკიდან თითო გამოფრენაზე მამალი ფუტკარი ხარჯავს 30 მგ თაფლს.

38) სქესობრივ მომწიფებას ისინი აღნევენ გამოჩეკიდან 12 დღის შემდეგ. ფუტკარის ოჯახი მამლების გამოყვანას იწყებს გაზაფხულზე და ახლოებით კუჭის განმენდიდან პირველი ერთი თვის შემდეგ. მამლები ცხოვრობენ ღალაზნობის დამთავრებამდე 3-5 თვის განმავლობაში. მხოლოდ ზაფხულში შეუძლია მამალ ფუტკარს შეუზღუდავად შევიდეს სხვა სკაში. მამალ ფუტკარებს შეუძლია ათ აქტიური სეზონის ნებისმიერ პერიოდში თავი მოიყარონ უდედო ოჯახებში.

39) ფუტკარს 5 თვალი აქვს, 3 პატარა და 2 დიდი, რთული (ფასეტური) თვალი. რთული თვალები შედგება ომატიდებისაგან. რთული თვალის თითოეულ ფასეტში ხდება არა მთელის გამოსახულება, არამედ მისი ნაწილის აღქმა, რომლებიც თავს იყრინან ტვინში და ამის შემდეგ ფუტკარს წარმოესახება საგნის მთლიანი გამოსახულება.

40) იგი რთული თვალებით ხედავს როგორც სიბნელეში, ასევე მზის სინათლეში. რთული თვალებით შორს იხედება და დიდ ფართობზე არჩევს საგნებს. შეუძლია განასხვავოს ახლო მანძილზე მყოფი საგნები და დაინახოს წვრილი ნერტილები ადამიანთან შედარებით 172-ჯრ უფრო გაძლიერებული მხედველობით. ფუტკარი კარგად არჩევს ყვითელ, თეთრ და ლურჯ ფერებს.

41) მარტივი თვალები მოთავსებულია რთულ თვალებს შორის სივრცეში. მარტივი თვალები რთულ თვალებთან არ არინ დაკავშირებულნი. ისინი საგნებს ვერ ხედავენ. მათ სინათლისადმი მხოლოდ ზოგადი მერქნობელობა აქვთ და სტიმულს აძლევენ რთული თვალების მუშაობას. მას ჩვენ უზროდეთ მაღვიძიარა თვალები. ისინი მუშა ფუტკარებს გათენების დაწყებას, და საღამის დადგომას აუწყებენ.

42) ფეხები შედგება მენჯის, ბარძაყის, წვივის და თათისგან. თათი კი 5 ნაწილისაგან შედგება. თათზე ორ კლანჭს შორის სველი ბალიშებია, რითაც ებჯინება გლუვ, მოპრიალებულ ზედაპირს, საგნებს და ძირს არ ვარდება.

43) დედამიწაზე არც ერთი ცოცხალი არსება არ არსებობს, რომელიც

აღჭურვილი იყოს თავდაცვის ისეთი იარალით, რომელიც არის შხამი და რომელიც ელვის სისწრაფით მტერზე მომაკვდინებლად მოქმედებს, რითაც თავის თავს იცავს. ფუტკარის ნესტარი თავდაცვის და თავდასხმის საშუალებაა.

44) მუშა ფუტკარი შხამს გამოიმუშავებს დაბადებიდან 6-7 დღის შემდეგ. მაქსიმალურად მისი გამოყოფა ხდება 10-18 დღის ასაკში.

45) შხამის გამოყოფა წყდება და გახსარჯული შხამის აღდგენა აღარ ხდება.

46) სკაში შეღწეული ქურდა ფუტკრების გამოცნობა ადვილია, ისინი მოპარული ნექტრით, ან თაფლით დატვირთულები სიმძიმის გამო საფრენიდან პირდაპირ ვერ აფრინდებიან, აცოცდებიან სკის კედელზე, ძალას იკრებენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ გაფრინდებიან. გზააბნეულ მოხეტიალე ფუტკრებს დარაჯი ფუტკრები სკაში მაშინ შეუშვებენ, თუ ისინი ყვავილის მტვერით, ან ნექტრით დატვირთულები არიან, რითაც გამორიცხულია მტრობის, ან ქურდობის მიზნით მათი შეღწევა სკაში.

47) ფუტკარის სასუნთქი სისტემა უანგბადს ღებულობს არა სისხლიდან, არამედ სასუნთქი სტიგმებიდან. სამივე ინდივიდს სტიგმები მკერდზე სამი წყვილი აქვთ. მუცელზე დედა და მუშას 6, მამალს კი 7. სუნთქვის სიხშირე ხორციელდება კარგად განვითარებული კუნთოვანი სისტემით, რაც წუთში 40-დან 150-მდე მერყეობს.

48) ფუტკარის ჯირკვლოვანი სისტემა 24 ჯირკვლისაგან შედგება. თავში ფუტკარს 5 ჯირკვალი აქვს, აქედან ორი წყვილი ზედა და ქვედა ყბის ჯირკვლები და ერთი თავის უკანა კენტი ჯირკვალი; მექრდში – 1 წყვილი; მუცელზე – 4 წყვილი საცვილე; სუნთქვანი – 1 წყვილი მუცლის დოზარულ მხარეზე 6-7 სეგმენტებს შორის; რექტალური – 6 ჯირკვალი; შხამის – 1 ჯირკვალი. ჯირკვლოვან სისტემაზე დამოკიდებული ფუტკარის ცხოვრების ყველა პროცესი – საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობა; სადედე რძის წარმოება; ნექტრის გადამუშავება თაფლად, ფიჭების მშენებლობა და თავდაცვის უნარისანობა.

**ავტონა სტაციონარული,  
სოფლის მუშაობის სამეცნიერო  
ცენტრი**



## რა უდეა გაითვალისწინოს ფერმერმა მსხვილფეხა პირზეტყვის საქმიანული შენახვის დროს

ფერმერები ხშირად გვეკითხებიან თუ რა წასების დაცვაა საჭირო მსხვილფეხა პირზეტყვის საპოვნოული ზანასვის დროს.

დღეს ჩვენ შურდალის საშუალებით ფერმერებს გათთვის საინტერესო პითხებზე უასუხებს „აგროებსაერთო ასოციაციის“ ვეზერინარი, ბიო-ლოგიკის დოკტორი მიხეილ ჭიჭაბუა

1) მსხვილფეხა პირუტყვის (ძროხა) ძოვებისთვის ყველაზე კარგი პერიოდია დღიულისა და საღამოს საათები;

2) ძროხა დღის ყველაზე ცხელ პერიოდში უნდა ისვენებდეს;

3) მწვანე, ახალმოთიბული ბალახი საღამოს და არა დღიული უნდა ვაჭამოთ;

4) ძროხას მცირე რაოდენობით კონცენტრატი (მარცვლეულის ნარევი) მაინც აუცილებლად უნდა მივცეთ;

5) თუ ფიქრობთ, რომ მსხვილფეხა პირუტყვი, რაც უფრო მეტი ხანი იმყოფება საძოვარზე, კარგია, შეცდომაა;

6) როგორი მოვლილი საძოვარიც არ უნდა იყოს, პირუტყვი 8 საათზე მეტს არ ძოებს, დანარჩენ დროს ისვენებს და იცოხნება;

### გაითვალისწინეთ:

1) მცენარეული საკვები მცირე რაოდენობით ნატრიუმს შეიცავს, ამინტომ ძროხას რეგულარულად უნდა მივცეთ დამატებით სუფრის მარილი. 1ლ. რძით გამოიყოფა 1გრ კალციის ქლორიდი – ბალახში არის ბევრი კალციუმი, რომელსაც ორგანზმიდან გამოაქვს ნატრიუმი და იწვევს მარილის შიმშილს. ეს რომ არ მოხ-

დეს, აუცილებელია საქონელს დღეში 30-70 გრ მარილი მივცეთ.

2) საძოვრული პერიოდის დასაწყისში ძროხას არ უნდა მივცეთ ხორბლის ნარჩენები (ქატო), რომელიც აძლიერებს ნაწლავის პერისტალტიკას და ათხიერებს კუჭის შიგთავს. ამ დროს უკეთესია მივცეთ 1კგ-მდე დაუმუშავებელი კონცენტრატი, რადგან მას შემკვრელი თვისებები გააჩნია;

3) ძროხა საძოვარზე საშუალოდ 5-6 წუთში ერთ კილოგრამამდე მწვანე საკვებს ჭამს;

4) პირუტყვი საძოვრულ კვებაზე თანდათანიბით უნდა გადავიყვანოთ: ჯერ 1,5, შემდეგ რამდენიმე საათი და ა.შ. – ორი კვირის განმავლობაში;

5) თუ ეს შესაძლებელია, ნახირი საძოვარზე უნდა გავიყვანოთ ცვრის ადების შემდეგ;

6) თუ ძროხა პარკოსან მცენარეთა საძოვარზე იმყოფება, მას წყალი საძოვარზე გაყვანიდან 1,5 საათის შემდეგ უნდა დავალევინოთ, რომ ფაშვის ტიმპანია (ფაშვის ტიმპანიას (ფაშვის გაბერილობა) ინვევს დიდი რაოდენობის აირების დაგროვება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბალახეულმა მცენარეებმა-განსაკუთრებით

თუ ეს ბალახი ნამიანია) არ განვითარდეს.

7) საძოვრულ პერიოდში რძის დანაკარგი სადგომიდან საძოვრამდე ძრობის გადაადგილებისას ერთ კილომეტრ მანძილზე 300-400 გრამამდე მერყეობს (რელიეფის მიხედვით).

8) ძროხა ცუდად ჭამს 15-20 სმ-ზე დაბალ, ასევე 30 სმ-ზე მეტი სიმაღლის ბალახს.

9) საძოვარი ეფექტურად გამოიყენება მორიგეობით ძოვების დროს.

10) ძროხამ 100 კგ. ცოცხალ წონაზე უნდა მიიღოს 2-3კგ. მშრალი ნივთიერება (მნ), ხოლო ახალ მწვანე წვნიან ბალახში ეს (მნ) ძალიან ცოტაა (1კგ მწვანე ბალახში დაახლოებით 170 გრ. მშრალი ნივთიერებაა. ბალახის 1 კგ. მშრალი ნივთიერება ტოლია 5,8 კგ. მწვანე მასის), ძროხა ზოგჯერ ვერ აგროვებს სათანადო რაოდენობით მშრალ ნივთიერებას, ამიტომ დამატებით ეძლევათ დღეში 2-3 კგ. ჩალა, ბადაგის ხსნარი (შეიძლება შაქრის ხსნარიც) (არაუმტეტს 200-250გრ, 0,5ლ წყალში) დაფქვილი ქერი 150 გრ. 1კგ. რძეზე. ასეთ დროს მონაწველი 10-15%-ით იზრდება და იზრდება ცხიმიანობაც.

11) საშუალოდ ძროხა კარგ საძოვარზე 10 კგ. მშრალ ნივთიერებას იღებს, ეს კი საკმარისია 13-14კგ რძის სანარმოებლად.

**მხედვის მიზანება**  
**ბიოლოგიის დოქტორი**  
**„აგრო ექსპერტთა ასოციაცია“**



### მცირე ისტორია

ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა არის ადამიანის ცივილიზაციის ერთ - ერთი უძველესი ცენტრი. ამ რეგიონში მეცხოველეობა პრაქტიკაში დაახლოებით 10 ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, ასე რომ, ნუბიური თხა შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს ჯიშად.

გასული საუკუნეების სტანდარტებით მაღალპროდუქტიულმა ნუბიურმა თხებმა ყურადღება მთელს მსოფლიოში მიიპყრო, მისით განსაკუთრებით ევროპელები დაინტერესდნენ და ნარსულში ეს ცხოველები იმპორტირებული იყო მრავალ ქვეყანაში.

მე-19 საუკუნის ბოლოს ინგლისის ტერიტორიაზე, ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესების მიზნით ექსპრომენტები დაიწყო და ამისთვის ისინი ძირითადად ნუბიური ჯიშის თხებს იყენებდნენ. ამერიკელებმაც შეიტანეს საუკუნარი წვლილი ჯიშის განვითარებაში. მათ მიზნიერ ცხოველთა მაღალ პროდუქტიულობას როგორც სახორცე, ისე სარძეო მიმართულებით, იყენებნ რა ხაზოვან და ახლონათესაურ შეჯვარებებს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო საზოგადოებამ სახელი ბრიტანელებს დაუტოვა, სასწავლო

## ნუბიური ჯიშის თხა

მათ ვედე გადაცემის თხის მოვალეობა მცირე ფერმაში, აირველ რიზში ზიდრობა თუ როგორ კი ვიარჩიონ. „აგროკავკასია“ ცდილობს მოგანო-ლოთ იცვლობაცია აას თუ ის საიმერებო ჯიშის გვასხვა, ნინა სტატიბაში ჩვენ საუბარი გვმონდა ტოგენბურგულები თხის (TOGGENBURG GOAT) ვისა-ხებ, დღეს მოგაცვით იცვლობაციას ცეკიური ჯიშის თხაზე (NUBIAN GOAT).

წიგნებში ხშირად ნახავთ დასახელებას „ინგლისურ-ნუბიური ჯიშის თხა“.

ყოველი მომდევნო მოგების შემდეგ რძის პროდუქტიულობა იზრდება.

### ჯიშის აღვენა

ამ ჯიშს ძალიან საინტერესო ექს-ტერიერიც აქვს – დიდი ჩამოყადებული ყურები და მკვეთრი შეფერილობა.

### შეზერიზობის ძირითადი ტიპები:

- ყავისფერი;
- მოთეთრო-მოყავისფრო;
- კრემისფერი;
- თეთრი;
- ჭრელი (ლეოპარდისებრი);
- შავი და სხვა.

ხშირად ცხოველებს აქვთ არა ერთიანი, არამედ მრავალფერი შეფერილობა. ჩვეულებრივ გვხვდება ორი ფერის ინდივიდები, მაგრამ ზოგჯერ ერთდროულად სამი ფერიც გვხვდება.

### ცეკიური ჯიშის პროდუქტიულობა

ნუბიური თხა უნივერსალურად არის მიჩნეული, ანუ მათ აქვთ პროდუქტიულობის კარგი მაჩვენებლები როგორც სახორცე, ასევე სარძეო მიმართულებით.

პირველი მოგების შემდეგ, რძის დღიური წველადობა დაახლოებით 3 ლიტრია, რაც საშუალოდ 300 დღე ლაქტაციის პერიოდით წელინადში 800-900 ლიტრს უდრის.

ამასთან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რძის რაოდენობა არამედ სარისხიც, რძის საბაზო ცხიმიანობა 4-4,5% -ს შეადგენს, თუმცა ცნობილია შემთხვევები როცა ცხიმის შემცველობა 8% -ს მიუახლოვდა. ცხიმის მაღალი შემცველობა საშუალებას იძლევა ვანარმოოთ საუკეთესო ყველი.

ცხიმის მაღალი შემცველობის გარდა, ნუბიური თხის რძე ცნობილია ცილის მაღალი შემცველობით 3,7%. გემოვნური მახასიათებლებიც მაღალ დონეზეა. რძეს არ აქვს თხის სუნი და, ბევრის აზრით სასიამოვნო არმატიც ახასიათებს.

### პროდუქტიულობა

- ზრდასრული დედალი თხის წონაა – 50-55 კგ;
- მამალი თხის წონა – 55-70 კგ;
- 2-3 ციკანი;
- ლაქტაციის პერიოდი დაახლოებით 300 დღე;
- რძე დღეში საშუალოდ 3 ლიტრი;
- რძე წელიწადში 800-1000 ლიტრი;
- რძე ცხიმის შემცველობა საშუალო 4-4,5 (რიგ შემთხვევებში 8%-მდე);
- ცილის შემცველობით 3,7%.

### გაფრინდება

## როპინგტონის ჯიშის ეთაში - პროდუქტიულობა, დადებითი და უარყოფითი მხარეები

შიდაური ქათმავის სახორცე და საკვერცხო პროდუქტიულობის განხა-სიათები გირგების უარყოფითი მომართებით დაიმუშავდა მისი არა ასა-მოვლინი საზოგადოებაში. მათ უარყოფითი მომართებით დაიმუშავდა მისი არა ასამოვლინი საზოგადოებაში სახელი ბრიტანელებს დაუტოვა, სასწავლო

უნივერსალური ჯიში ამ ორი მა-სასიათებლის ოპტიმალური ბალან-სის მატარებელია. ორპინგტონის ჯიშის შემთხვევაში, ქათამი კვერცხის კარგით წარმოებით გამოირჩევა და ამასთან ძალიან შთამბეჭ-დავია მეხორცული მახასიათებლებითაც.

### როპინგტონის ჯიშის ეთაში ისტორია

ამ ჯიშის მოშენებაზე მუშაობა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთში ქალაქ ორპინგტონში (კენტის საგრაფო) დაიწყო.

ამ ჯიშის გამოჩენა მთლიანად სე-ლექციონერის, უილიამ კუკის დამსახურებაა, მან მიზნად დაისახა ისეთი



ჯიშის გამოყვანა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა ინგლისური მეფინველების სტანდარტებს. სხვა საკითხებთან ერთად მისი ამოცანა იყო მასიური, არა ყვითელი, არამედ თეთრი კანის მქონე ფრინველის მი-

ღება, რაც, ინგლისელი გურმანების თანახმად, უფრო შეესამებოდა გემ-რიელი ქათმის კონცეფციას.

ორპინგტონის ქათამს საფუძვლად დაედო იმდროინდელი რამდენიმე მოწინავე ჯიში, კერძოდ, პლიმუ-თოროკი, მინორკა და ლანგბანი. სე-ლექციური შერჩევის საწყისი ეტაპი მინიმუმ 30 წელი გაგრძელდა, ჯიშის საბოლოო გამოყვანა კი თავად კუკის გარეშე მოხდა. მიუხედავად ამისა, იყი იყო ის, ვინც ამ სამუშაოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი შეასრულა.

მთლიანობაში, ორპინგტონის ჯიშის 11 ფერის სახესხვაობა მიღეს.

ახალი ჯიშმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ბრიტანელ ფერმერებს შორის, რადგან მას კარგი პროდუქტიულობა და ორიგინალური გარეგნობა ჰქონდა.

### ორპინგტონის ჯიშის ძალის აღწერა

ჯიშის გარეგნობის ყველაზე თვალ-საჩინო თვისებაა ფრინველების მასიურობა. ამ ქათმებს ძალიან ძლიერი კონსტიტუცია კუბისმაგვარი სხული აქვთ, რომელი უხვი ბუმბულითაა დაფარული.

ორპინგტონის აქვს პატარა მომრგვალო თავი, რომელიც მამლების შემთხვევაში სწორმდგომი ფოთლისებური ქედით მთავრდება. ძლიერი ოდნავ მოხრილი კისერი, ზურგი გრძელი და ძალიან ფართოა, დაკუნთული. გულმკერდიც უჩვეულოდ ძლიერი და ფართოა. ფრთები მოკლეა.

### ორპინგტონის ჯიშის პროდუქტიულობა

იმის გამო, რომ ორპინგტონის უნივერსალურ ჯიშია, ხორცისა და კვერცხის პროდუქტიულობის მაჩვენებელი კარგია, თუმცა თვითული ისე

გამორჩეული არაა, როგორც უფრო სპეციალიზებულ ჯიშებში.

მიმოხილვების თანახმად, ორპინგტონი ძალიან სწრაფად არ იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ მათ შეუძლიათ სოლიდურ წონას მიაღწიონ: ზრდასრული ქათმის წონა საშუალოდ დაახლოებით 3-4 კგ-ია, მამლის – 4-5 კგ.

კვერცდებაც საკმაოდ ნორმალურია, თუმცა გამორჩეული არ არის. კვერცხდების პირველ წელს, ქათამი საშუალოდ 160-დან 180 კვერცხს იძლევა. მეორე წელს წარმოება მცირ-



დება 130-140 კვერცხამდე. კვერცხი საშუალო ზომისა (55-60 გ), ღია ყავისფერი ან კრემისფერი ნაჭუჭით.

### ჯიშის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

ინგლისელი ორპინგტონის ქათამი ძირითადად მოყვარულ მეფრინველებშია პოპულარულია.

ისინი ამ ფრინველს ასეთი მახასიათებლებისთვის აფასებენ:

- უნივერსალურობა. იმის გამო, რომ ორპინგტონები თანაბრად უზრუნველვყოფენ საკმარისი რაოდენობით ხორცითა და კვერცხით, ისინი ოპტიმალურია საკარმიდამო ნაკვეთის მქონე მეფრინველებისთვის, სოფლის მოსახლეს არ დასჭირდება ერთდროულად რამდენიმე ჯიშის მო-

შენება (ცალკე მეხორცული, ცალკე მეკვერცხული).

- მასიურია. ეს ჯიში საინტერესოა იმის გამოც, რომ სადლესასწაულო კერძის მომზადება ერთ ქათმით არის შესაძლებელი.

- მტვიდი ხასიათი. ძალიან კარგია, რომ ამხელა ქათმებს დაბალნებული ხასიათი აქვთ, წინააღმდეგ შემთხვევაში წონის გამო, უამრავი პრობლემა შეიძლება შეექმნას მეპატრონებებს. საბედნიეროდ, ორპინგტონი მშვიდი და უფრო მეტიც ფლეგმატურია.

### ჯიშის უარყოფითი მხარეები

რამდენადაც ჯიში მოყვარულ მეფრინველებს მოსწონთ, იმდენად გვერდს უვლიან მენარმეები, მცირე ფერმერებიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მსხვილი მეფრინველების მეურნეობებზე, უპირატესობას სხვა უფრო პროდუქტიულ ჯიშებს ანიჭებენ.

ეს გამოწვეულია შემდეგი უარყოფითი მხარეებით:

- ნელი ზრდა. გამომდინარე იქიდან, რომ ორპინგტონის ჯიშის ქათმები სწრაფად არ იზრდება, სამრნეველო მეფრინველების მეურნეობაში მათი ხორცის თვითოლირებულება საკმაოდ მაღალია. საკვების ღირებულებას დიდი წონაც კი ვერ ფარავს.

- ქონის დაგროვებისკენ მიღრეკილება. ამ მახასიათებლის გამო, რაციონის გაზრდით შეუძლებელია ზრდის ტემპის სტიმულირება. წონა უბრალოდ ქონში მიღის და კუნთოვანი მასის ზრდის აჩქარება არ ხდება.

- კვერცხის დაბალი წარმოება. ამ ინდიკატორის თვალსაზრისით უფრო პროდუქტიული ჯიშების არსებობის გამო, ორპინგტონების გამოყენება ნაკლებად მომგებიანია.

ლი პრეპარატები). სიდერატებისადმი ინტერესი ისევ დაბრუნდა.

### რატომ სიღერატები?

მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა მცენარეს ნიადაგიდან სხვადასხვა რაოდენობის საკვები გამოაქვს, ნიადაგის სიცოცხლისუნარიანობის და მოსავლიანობის შენარჩუნებისთვის, სხვა აგროტენიკურ ღონისძიებებთან ერთად საჭირო მისი გამოკვება. მწვანე სასუქები ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით და აზოტით ამდიდრებენ.

## ეთანე სასუკი

# სიღერატების [მოვანე სასუკი] თასვა - დავიცვათ გაღ-პოსტინი პრიგლევებისგან

საჭიროა თუ არა პოსტანი მოვანე სიღერატების თასვა და როდის არის ახილების საუკათასო დრო? ამიტომ თუ არა ეს კულტურა მიაღწია და რა ვუყოთ მათ ყვავილების შემაგრებ?

სიდერატებს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. ევროპელებმა ეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩინელების-გან გადმოიდეს და უკვე ძველი საბერძნების დროს, ხმელთაშუა ზღვის კვეყნებში გავრცელდა.

ორგანული მეურნეობის აღორძინებასთან ერთად, რომელშიც მინერალური სასუქები სრულიად არ გამოიყენება (ან სტანდარტებით გათვალისწინებული მცირე დოზებით არის დაშვებული, მაგ: სპილენძის შემცვე-



ნუ დაუშვებთ ნიადაგი გამოფიტვას – დაიცავით ბალ-ბოსტანი პრობლემებისგან.

ბუნებრივ ან ორგანულ მეურნეობაში არსებობს კანონი: მიწა არასოდეს უნდა დარჩეს მცენარეების გარეშე. იმისათვის, რომ ნიადაგის ზედაპირი მუდმივად იყოს დაფარული, თესავენ მწვანე სასუქებს, რომლებსაც ეწოდება სიდერატები, ხოლო ამ პროცესს სიდერაცია.

სიდერაციისთვის გამოიყენება კულტურები, რომლებიც ერთმანეთს ხელს არ უშლიან (შეთავსებადი არიან) და სწრაფად იზრდებიან. სიდერატები ითესება გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე – ანუ, ნებისმიერ დროს.

### სიდერატები თესვა სხვადასხვა დროს

სიდერაციისთვის საჭიროა სწრაფად მზარდი მცენარეები, რომლებიც ასწრებენ მწვანე მასის განვითარებას ბოსტნეულის თესვამდე ან მოსავლის აღების შემდეგ, აგრეთვე კულტურებს შორის შუალედში.

### ამ მიზნებისათვის შესაფერისი ზოგიერთი კულტურა:

ზამთრის წინა თესვა – საკუპი პარკოსნები, რაფსი, ცერცველა, ჭვავი. ამ კულტურებს, რომლებიც დათესეს ზამთარამდე, ადრე გაზაფხულზე ბოსტნეულის თესვამდე, ჩითილების ან კარტოფილის გადარგვამდე უკვე განვითარებული აქვთ მწვანე მასა.

ადრე საგაზაფხულო თესვა – მინდვრის ბარდა, ცერცვი. განსაკუთრებით შესაფერისია გაზაფხულის თესვისთვის ფოთლოვანი მდოგვი. ამ ყინვაგამძლე კულტურის თესვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ ზამთრის გასვლის შემდეგ, რამდენიმე

საგაზაფხულო კვირის განმავლობაში, რომლებიც ბოსტნეულის თესვამდე/დარგვამდე რჩება, მდოგვს ექნება დრო, რომ გაეზარდოს სრულყოფილი ფოთლები და აყვავილდეს. ამ მდგომარეობაში მისი ჩახვნა ნიადაგს მნიშვნელოვნად გაამდიდრებს აზოტით.

**გაზაფხულის შუა პერიოდში** წინიბურა ითესება. კულტურას ახასიათებს სწრაფი ზრდა, იგი მყისიერად აყალიბებს განშტოებულ და ღრმა ფესვებს, ამიტომ, განსაკუთრებით რეკომენდებულია, მძიმე ნიადაგებზე გაშენებისთვის. თუ წინიბურას გაზაფხულზე თესავთ, მისი ჩახვნა მოგინერა არა უადრეს შემოდგომისა, ასე რომ, მეტწილად ამ კულტურას რიგთაშორისებში ნიადაგის გასაუმჯობესებლად იყენებენ.

**ზაფხულის დასაწყისში** ითესება მრავალწლოვანი სამყურადა ხანჭკულა: ყვითელი, ლურჯი და თეთრი. ხანჭკულას დათესვა შესაძლებელია არა მხოლოდ ივნისში, არამედ ივლის-აგვისტოში, ისევე როგორც გაზაფხულზე, თუ კლიმატი რბილია. ეს მცენარე ითვლება მარწყვის პლანტაციების საუკეთესო წინამორბედებად, რადგან ის აქტიურად თრგუნავს ნიადაგის ნემატოდებს. ამიტომ, ყოველთვის აქვს აზრი გაზაფხულის ადრეულ თესვაში მის გამოყენებას.

### რომელი გცემარება გამოიყენება სიდერატებად

პარკოსნებიდან სიდერატებად ხშირად შემდეგ კულტურებს იყენებენ: ბარდას, ოსპს, ძიძოს, ცერცვს, ცულისპირას, ესპარცეტს, სამყურას, იონჯას და სხვ. არაპარკოსანი კულტურებიდან ამ მხრივ საინტერესოა წინიბურა, მდოგვი, შვრია, რაფსი, ჭვავი, ფაფელია და სხვ.

### რამდენიმე სიდერატის შესახებ ხანჭკულა

ხანჭკულა შეიძლება გაიზარდოს ქვიშაზე და თიხნარზე, მლაშე ნიადაგებზეც, მდელოებზე, კარგად უძლებს გვალვას.

**ხანჭკულა (ლათ. Lupinus)** – მოჰყავთ ძირითადად, როგორც მწვანე სასუქი, რადგანაც ის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აგროვებს აზოტს და ნიადაგში ტოვებს ორგანულ ნივთიერებებს.

ხანჭკულა ერთ ჰექტარზე (საშუალო მოსავალი 5-6 ტონა მწვანე მასა) 180-200 კგ ორგანულ ნივთიერებებს აგროვებს.

### ხანჭკულას 200-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, მაგრამ მათგან ძირითადად გავრცელებულია:

ლურჯი ანუ ვინწრო ფოთლიანი ხანჭკულა – ერთნლოვანი, მაღალმოზარდი მცენარეა. ფესვები ღრმად ჩადის ნიადაგში, კოურები უხვად აქვს განვითარებული, 1000 მარცვლის მასა 160-200გრ. მწვანე მასის მოსავალი 50 ც/ჰა-ზე, თესლისა 2 ც/ჰა-ზე.

ყვითელი ხანჭკულა – ერთნლოვანია, კარგად შეფოთლილი, მეტწილად ჯვარედინდამამტვერიანებელია. 1000 მარცვლის მასა 120-150 გრ. მწვანე მასის მოსავალი 60-80 ც/ჰა-ზე, თესლისა 3ც/ჰა.

თეთრი ხანჭკულა – მაღალმოზარდია (1-1,5მ) 1000 მარცვლის მასა 350-450 გრ. მწვანე მასის მოსავალი 30 ც/ჰა, თესლის 5,1 ც/ჰა.

მრავალწლოვანი ანუ მრავალფოთლიანი ხანჭკულა მწვანე მასის მოსავალს იძლევა 30 ც/ჰა, თესლისა 0,4-0,6ტ/ჰა. ერთ ადგილზე მას შეუძლია 8-10 ნელი იცოცხლოს და მოსავალი მოგვცეს. სამხრეთის რეგიონებში წელინადში 3-4 განათიბს იძლევა.



იხილეთ:  
ფაცელია



ფაცელია დათესვიდან სამი დღის შემდეგ უკვე ამოდის, კულტურა ძალიან სწრაფად იზრდება, ეგუება ნებისმიერ ნიადაგს. ფაცელიას დერო და ფოთლები ნაზია, ადვილად იშლება ნიადაგში და ამდიდრებს მას აზოტით.

გარდა ამისა, ფაცელია კარგი თაფლოვანი მცენარეა და ფუტკრებს იზიდავს. ითესება გაზაფხულზე და ზაფხულში და 6 კვირის შემდეგ ყვავილობს. თესვის ნორმა – კვადრატულ მეტრზე 5-10 გრამი. კარგი ნინამორბედია ნებისმიერი კულტურისთვის.

### მდოგვი



ორგანული მეურნეობის აღიარებული ოსტატები – გერმანელები – მდოგვს საუკეთესო მწვანე სასუქად მიიჩნევენ. მის ფესვებს აქვთ უნარი ნიადაგში არსებული ფოსფორი და გოგირდი გადაიყვანონ მცენარეებისთვის ადვილად ასათვისებელ მდგომარეობაში.

გარდა ამისა, მდოგვი არის აზოტის შესანიშნავი წყარო, რადგან მისი მწვანე მასა სწრაფად იზრდება და მოგვიანებით დარგული მცენარეების გამოკვებას ემსახურება.

უმჯობესია, მდოგვის ჩახვნა ამოსვლიდან 8-10 კვირის შემდეგ მოხდეს, ამ დროს ის ინყებს ყვავილობას. თუ 10 კვირა არ გვაქვს, მდოგვის დათესვა მაინც მიზანებულია, ამ შემთხვევაში, მას არ ექნება დრო, რომ მაქსიმალური

მცენარეული მასა მოგვცეს, მაგრამ ნიადაგისთვის მაინც სასარგებლოა.

მდოგვი უნდა ჩაიხნას თესლის გამოლებამდე, რომ ის მწვანე საუქიდან ჩვეულებრივ სარეველად არ იქცეს.

ნაკლოვანებები: არ უყვარს გვალვა, ცუდი ნინამორბედია კომბოსტოსა და ბოლოკისთვის.

### ცულისპირა



ცულისპირა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ერთნორიანი, პარკოსანი საკვები ბალახია. იძლევა მაღალხარისხოვან მოსავალს და მარცვალს, რომელიც საუცხოო კონცენტრირებული საკვებია.

მწვანე მასას ჭამს ყველა სახეობის პირუტყვი. ძალიან ნელა აგროვებს უჯრედისა, ამიტომ სხვა კულტურებთან შედარებით მას საძოვრად უფრო ხშირად იყენებენ. ის უფრო მეტ ცილებს შეიცავს, ვიდრე იონჯა.

ცულისპირა უძველესი დროიდან მოჰყავთ სამხრეთ-დასავლეთ აზიასა და რუსეთში, უკრაინაში, აგრეთვე შუა აზიაში. საქართველოში მოიპოვება ტყისპირებში, აგრეთვე კულტურულ ნაოესებში – 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ცულისპირა კარგი სიდერატია (მწვანე სასუქი), თესლბრუნვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

### ბარდა



ბარდა – პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენელია. ბარდის სამშობლოდ

აღმოსავლეთი ავღანეთი და ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთი ითვლება.

კულტურაში ფართოდ არის გავრცელებული ჩვეულებრივი ბარდა (*Pisum sativum*), რომელიც ერთნორივანი საგაზაფხულო ან საშემოდგომო მცენარეა.

ბარდა აქვს 30-180 სმ-მდე სიმაღლის დერო, ფოთოლი წყვილფრთისებრია, ყვავილი ძირითადად თეთრი ან იისფერის გარკვეული ტონალობისაა, თვითდამტვერავია. ბარდა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სასურსათო და საკვები კულტურაა.

ბარდა, როგორც სხვა პარკოსნებს მნიშვნელოვანი როლი აქვს, სოფლის მეურნეობაში, ის კარგი სიღერატი და ნინამორბედი კულტურაა, ერთ ჰექტარზე ბარდის წარმოების შემდეგ ნიადაგში რჩება 50-100 კგ აზოტი. ეს დაახლოებით 300 კგ გვარვებილას ან 10-20 ტონა ორგანულ სასუქის ექვივალენტია.

### რა არის სიდერაცია

სიდერაცია – ფრანგული სიტყვაა და ნიმუშის სპეციალურად მოყვანილი მწვანე მცენარის ჩახვნას.

სიდერაცია არის ორგანულ ნივთიერებებით და აზოტით ნიადაგის განოყიერების როგანული მეთოდი, რომელიც ხორციელდება ნაკვეთზე სპეციალურად ამ მიზნისთვის მცენარეების (უმთავრესად პარკოსნების) თესვითა და მათი მწვანე მასის ნიადაგში ჩახვნით.

### სიდერაციისა აუცილებელია გარკვეული წესების დაცვა:

- ნიადაგი კარგად უნდა იყოს გაფხვიერებული თესლის თანაბრად და მცირე სიღრმეზე ჩასათვად;

- არ შეიძლება სიდერატებად ჯვაროსნების გამოყენება, თუ შემდგომში ამავე ნაკვეთზე იგეგმება იმავე ოჯახის წარმომადგენლის, მაგალითად, კომბოსტოს მოყვანა;

- მწვანე სასუქების ჩახვნა რეკომენდებულია მცენარეთა ყვავილობამდე, ვიდრე ისინი არ წარმოქმნიან აზოტით ლარიბი და ნახშირწყლებით მდიდარ უხეშ ღეროს, რომელიც ძნელად იშლება;

- იმისათვის, რომ სიდერატი ადვილად დაიშალოს, მისი ჩახვნის სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს მძიმე ნიადაგებზე -10 სმ, ხოლო მსუბუქ ნიადაგებზე - 15 სმ-ს;

- ძირითადი კულტურა არ უნდა დაითესოს სიდერატის ჩახვნიდან ორი - სამი კვირის გასვლამდე;

● მწვანე მასა თავის დროზე უნდა ჩაიხსნას, რადგან მის დასაშლელად გარკვეული პერიოდი არის საჭირო.

მწვანე სასუქის ეფექტურობას ძირითადად მწვანე მასის მოსავალიგან-მსაზღვრავს, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე, აგროტექნიკაზე, ნიადაგზე, მცენარეთა შეთავსებადობაზე, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სასიდერაციო მცენარეების ნიადაგში ჩახვნის ვადებს.

ნიადაგის თვისებებზე და სასოფ-ლო – სამეურნეო კულტურების მო-სავლიანობაზე მწვანე სასუქების მოქმედება მრავალმხრივია და, სხვა ორგანულ სასუქებთან შედარებით, გააჩნია სპეციფიკური თვისებები. მწვანე სასუქები ნიადაგს, უპირ-ველს ყოვლისა, ორგანული ნივთი-ერებით და აზოტით ამდიდრებენ. სიდერატების მწვანე მასის ჩახვნით ნიადაგში გროვდება 150-200 კგ/ჰა

აზოტი, რაც პარკოსანი მცენარეების კოურის ბაქტერიების მიერ ჰაერიდან ფიქსირებული აზოტის ტოლფასია.

სიდერატებს იყენებენ: ხეხილის ბა-ლებში, სუბტროპიკულ მეურნეობაში, ვენახში, ჩაის პლანტაციებში, ციტ-რუსოვანთა ნარგავებში, სხვადასხვა ტექნიკურ კულტურებში და საძოვ-რებზეც.

**გადახმა ხაზარების მიზანი**  
„აგროკავკასიის“ მთ. რედაქტორი.

## გ ი რ

# არამიუმ კლასის ბიოლოგიური აეტიური სასუკი

შეარი ლოგისტულ-ტაქტიკიული სასუკი „პიომიქსი“ საქართველოში ლოგი-სული სასუკისა და ბიოლოგიური პრეპარატების მთარმობელი კონკრეტული, „პიომიქსი – მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ ახალი პროდუქტია.

სასუქი „ბიომიქსი“ უკვე გამოიცა-და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში როგორც სპეციალის-ტების ისე ფერმერების მიერ.

ბიომიქსი მრავალკომპონენტიანი, მშრალი ორგანული სასუქია, რომელიც მზადდება სპეციალური ფორმულითა და ტექნოლოგით, 100% ბუნებრივი კომპონენტებისგან.

ბიომიქსის გამოყენება შეიძლება ყველა ტიპის ნიადაგში, ყველა კულტურის ქვეშ.

იგი მცენარისთვის საჭირო და აუცილებელი მიკრო და მაკროელე-მენტების კომპლექსს, ჰუმინისა და ფულვო მჟავებს, ფიტოალექსინებს, ვიტამინებსა და მცენარეთა დაცვის ელემენტებს მეტაცვს, ამასთან ერთად სასუქი ტორფითაა გამდიდრებული.

სასუქის შემადგენლობაში აგრეთ-ვე შედის მიკროორგანიზმების ფარ-თო სპეცირი, როგორიცაა – აზოტო-ფიქსირებადი, ფიტოსინთეთიკური ბაქტერიები, სოკო ტრიქოდერმა, ტორფი და აგრეთვე გარკვეული მიკროორგანიზმების კომპლექსი.

თავისუფლად შეგვიძლია ალვინიშ-ნოთ, რომ ბიომიქსი ერთადერთი სა-სუქია ქართულ ბაზარზე, რომელიც მიკორიზული სოკოების კომპლექსს შეიცავს. მიკორიზული სოკოები კი მცენარის ფესვთა სისტემის გან-ვითარების ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ნინაპირობაა.

ყველა მიკროორგანიზმი კომპანია „ბიომიქსი – მცენარეთა ბიოლოგიური ცენტრის“ მიერ არის გამოყოფილი და აპრობირებული.

ეს მიკროორგანიზმები ხელს უწყობენ ნიადაგას აგრეგატული მდგომარეობის გაუმჯობესებას და ზრდიან ნაყოფიერებას .

**მოკლედ რომ ვთქვათ, ბიომიქსი:**

- აუმჯობესებს ნიადაგის აგრეგატულ მდგომარეობას და ზრდის ნაყოფიერებას
- არის აქტიური ბიოსტიმულატორი;
- ხელს უწყობს ნიადაგში სასარგებლო მიკროფლორის განვითარებას;
- ახდენს მცენარეთა დავადების პრევენციას;
- ზრდის მოსავლიანობას;
- არის ხარისხიანი და სუფთა მოსავლის მიყვანის საშუალება;
- ყოველი მომდევნო წელი შედეგი-ანია ნინა წელთან შედარებით;
- შედეგიანია როგორც ლია ასევე დახურული გრუნტის ბიორბებში;
- გამოიყენება ყვავილების, ჩითი-ლების ნიადაგის მომზადების საყრდენ კომპონენტად;

**ორგანული სასუქის „ბიომიქსის“ ხარჯვის ნორმები სასოფლო-სამეურნეო კულტურებში და დეკორატიულ მცენარეებში**

№	კულტურის დასახელება	ხარჯვის ნორმა მ.კუბ/ჴა-ზე	შეტანის პერიოდი	შენიშვნა
1	ხორბალი, ქერი	0.15-0.3 გ 3-6 ტომარა	თესვის პერიოდში	შემოდგომა ან გაზაფხული
2	სიმინდი	0.15-0.5 გ 6-10 ტომარა	თესვის პერიოდში	გაზაფხული
3	მზესუმიზრა	0.15-0.5 გ 6-10 ტომარა	თესვის პერიოდში	გაზაფხული
4	კარტოფილი	0.5-0.7 გ 10-14 ტომარა	თესვის პერიოდში	გაზაფხული
5	ბალჩული კულტურები (საზამთრო, ნესვი, გოგორა, ყაბაყი)	0.5-0.7 გ 10-14 ტომარა	თესვისა და ჩითილების გადარგვის პერიოდში	გაზაფხული
6	ბოსტნეული კულტურები (კომბოსტო, ბადრიჯანი, ნინა-კა, კიტრი, პმიდორი, მწვანილეული, ხახვი, ნიორი)	0.3-0.4 გ 6-8 ტომარა	თესვისა და ჩითილების გადარგვისას	გაზაფხული
7	პარკოსანი კულტურები (ლობიო, სოიო, ბარდა და სხვ.)	0.15-0.2 გ 6-8 ტომარა	თესვის პერიოდში	გაზაფხული

ორგანული სასუქის „ბიომიქსის“ ხარჯვის ნორმები სასოფლო-სამეურნეო კულტურებში და დეკორატიულ მცენარეებში

№	კულტურის დასახელება	ხარჯისნორმა გ.კუბი/ჰა-ზე	შეტანის პერიოდი	შენიშვნა
8	საკვები ბალახები (იონჯა, სამყურა, ესპარცეტი და სხვ.)	0.4-0.5 მ 8-10 ტომარა	თესვის პერიოდში	გაზაფხული
9	ა) ვაზის მსხმოიარე ბ) ახალშენი ვაზი და სანერგე	ა) 0.7-0.8 მ 14-16 ტომარა ბ) 0.4-0.5 მ 8-10 ტომარა	ა) ვეგეტაციის დასრულ. ან ვეგეტაციის დასასწ. ბ) ვეგეტაციის დასაწყისში	ა) შემოდ.-გაზაფხ. ბ) გაზაფხული
10	თესლოვანი ხეხილი (ვაშლი, მსხალი)	0.7-0.8 მ 14-16 ტომარა	ვეგეტაციის დაწყებამდე	ადრე გაზაფხული
11	ციტრუსოვან კულტურებში (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და სხვ.)	0.8-0.9 მ 16-18 ტომარა	ვეგეტაციის დაწყებამდე	გაზაფხული
12	კურკუვანი ხეხილი (ატამი, ქლიავი, გარგარი, ბალი, ალუბალი)	0.5-0.6 მ 10-12 ტომარა	ვეგეტაციის დაწყებამდე	ადრე გაზაფხული
13	კაკლოვნები (თხილი, კაკალი, ნუში)	0.7-0.8 მ 14-16 ტომარა	ვეგეტაციის დაწყებამდე	გაზაფხული
14	ხეხილის სანერგე	0.3-0.4 მ 6-8 ტომარა	ვეგეტაციის დაწყებამდე	ადრე გაზაფხული
15	დახურული გრუნტის პირობებში (მწვანილები, სალათები, კიტრი და პამიდორი)	1000 მ²-ზე 0.2-0.3 მ 4-6 ტომარა	თესვისა და ჩითილების გადარგვისას	შემოდგომა-გაზაფხული
16	კენეროვანი კულტურები (ჟოლო, უეკლო მაყვალი მარწყვი, მოცვი, მოცხარი)	0.5-0.6 მ 10-12 ტომარა	დარგვისა და ვეგეტაციის პერიოდში	გაზაფხული-ზაფხული
17	დეკორატიული მცენარეები	0.2-0.4 მ 4-8 ტომარა	დარგვისა და ვეგეტაციის პერიოდში	გაზაფხული-ზაფხული

შენიშვნა: სასუქის შეტანა შეიძლება როგორც ხელით ასევე მექანიზებული წესით, მშრალ ამინდში.

## პრატეზლი კულტურები

### პრასი (ALLIUM PORRUM) - მოვლა-მოკვანის ძირითადი კარონები

პრასი (ლათ. ALLIUM PORRUM) ორგლიანი მცენარეა. პირველ ცელს ივი-თარებს ფოთლებისა და გამოსავალის უძველეს მოვლა, ხოლო მეორე ცელს საყვავილე - მლორტებს (ისარს) და იძლევა თასლს.

საჭმელად გამოიყენება პრასის ფოთლები და ცრუ ღერო. მას იყენებენ როგორც უმი, ისე მოხარშული სახით ნიგვზითა და სუნელებით შენელებულს, გამოიყენება აგრეთვე მწნილად.

პრასი შეიცავს დიდი რაოდენობით ეთერზეთს, რაზეც დამოკიდებულია მისი სუნი და გემო.

ღივი ამოდის დათესვიდან 10-16 დღეში. მისი ფოთლები ღივის ამოსვლისას მოხრილია, მაგრამ შემდეგ სწრაფად სწორდება. პრასის ბოლქვი პატარაა და შედგება თეთრი თხელი სორტიანი ქერქლებისაგან.

პრასი პირველ წელს საყვავილე ყლორტის არ ივითარებს, მაგრამ მეო-

რე წელს 100%-ით ყვავის.

მისი განსაკუთრებული თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ის გვან შემოდგომამდე არ წყვეტს ფოთლების განვითარებას, ცრუ ღერო საყვავილე ყლორტის ამოდებამდეც კი ყოველთვის რჩება წვინიანი სახით. ამიტომ პრასი მოსვენების პერიოდი ხასვისაგან განსხვავებით არ ახასიათებს.

აღმოცენებას იწყებს 3-5°C-ზე. იტანს - 4 - 5°C-ს.

პრასის თესლი გაღივებას 3-5 გრადუს სითბოზე იწყებს, ხოლო ღივები - 4-5 გრადუს ყინვისას არ ზიანდება. მოზრდილი მცენარეები კარგად იტანენ ძლიერ ყინვებს და იზამთრებენ



ლი გრუნტში საქართველოს თითქმის ყველა ზონაში.

პრასი ნიადაგის სტრუქტურის და ნოიერების დიდი მომთხოვნია, მაღალმოსავალს იძლევა უხვნალექიან ანდა სარწყავ პირობებში, პრასი მოჰყავთ წინასწარ გამოზრდილი ჩითილის დარგვით ან უშუალოდ თესლის ლი გრუნტში თესვით.

კარგი მოსავლის მიღება შეიძლება ნაკელით კარგად განვითრებულ



ნიადაგებზე - 60-80 ტ 1  
ჰა-ზე. თუ ნინა წელს კარ-  
გად იყო განოყიერებული  
ნიადაგი, მაშინ საკმარისია  
მარტო მინერალური სასუ-  
ქის შეტანა - აზოტი, ფოს-  
ფორი და კალიუმი 70-80 კგ  
1 ჰა-ზე.

ჩითილით მოყვანისას მას რგავენ ზოლებად, ზოლებს შორის ათავსებენ 4 მწკრივს, მწკრივთა შორის მანძილი 25 სმ. ზოლებს შორის 50 სმ, მწკრივში მცენარეთა შორის 10-20 სმ-ია, 1 ჰა-ზე დაახლოებით 300 000 მცენარე ეტევა.

პრასის მოვლა ისეთიცეა,  
როგორც ხახვის, იმ განსხვა-  
ვებით, რომ კარგი ძირების  
მისაღებად საჭიროა მიწის შე-  
მოყრა და ფოთლების კარგად  
განვითარების შემდეგ მათი  
ნაკვეცა, რაც ხელს უწყობს  
ძირების გატბიზომებას.

35-50 დღეში.

ତୀରୁଳ ପ୍ରକଟିତ ହେଲାଏ;  
ଆମେ ସାଧାରଣ ଜୀବନୀ;  
ଗିରା ଆଶୀର୍ବାଦ ଜୀବନୀ;  
ଏଣୁଥିବାକୁ କାହାରୁକାହାରୁ.

ବେଳେନାରୀ ପାତ୍ରଙ୍କିତି

რუსეთის „უძლვება „აგროექსპორტა ასოციაცია“

ომგვარეთ ან დარივეთ, თელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
პასუხს მიღებაზე ქურნალ „აგრალი აგრძარული საქართველოს“ საკუთრებით.

1. იქნებ განვითაროსთ რა ფაქტორები მოქმედებს ქათმის კვირცხლის გაღრევაზე?

ქათმის კვერცხმდებლობაზე მოქმედი მრავალი ფაქტორიდან ძირითადია: **საკუები, მიკროკლიმატი, სინათლე** (მისი ხანგრძლიობა და ინტენსიობა).

კვერცხმდებელი ქათმის კვებას განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალი ხარისხის კვერცხის წარმოების თვალსაზრისით. აუცილებელია საკვები იყოს დაბალანსებული და ულფა შეიცავდეს საკვები კომპონენტების მრავალფეროვნებას. საკვებად უნდა გამოვიყენოთ: სიმინდის მარცვალი, ხორბალი, ქაჭო, სოიო, მზესუმზირა, მზესუმზირის ზეთი, კირქვა, საკვებდანამატები (პრემიქ-სი, კონცენტრატი), სუფრის მარილი, საკვები სოდა, დი-კალ/კილოსფაზი და სხვა.



ველოპა შემდეგ სტანდარტულ ნორმებს უნდა აკმაყოფილდებოს:

2. ჩიამი ქათმები სშირად ღებენ ორგულა კვერცხებს?  
იქნება აპისძნათ რესტან გვარებს საჭმა

ორგულა კვერცხი		მაშინ მიიღება, როცა საკვერცხე-ში ერთდროულად ორი კვერცხუჯრედი მომწიფდება და ოუკაცია ერთდროულად ხდება. ასეთი შემთხვევები უფრო მეტად 9 თვემდე ასაკის ძათმებშია (22-35-კვირა).
უმი	ფოსფორი %	
3	0,55	
	„-	

ახალგაზრდა დებლის კვერცხი შედარებით მცირე მასის და წონისაა, 38-40 კვირის ასაკში კი კვერცხის საშუალო მასა მაქსიმალურადაა გაზრდილი, 55-60 კვირის ასაკში უფრო მსხვილი ჭარბობს. კვირცხის მასის

საკვების ფაზა	ასაკი კვირებში	ნედლი პროტ.%	ენერგია კკალ	კალციუმი %	ფოსფორი %
I - ფაზა. 20-45 კვირა	20-28 კვ.	18,0	280	3,73	0,55
	29-40 კვ.	17,1	272	-,,-	-,,-
	41-45 კვ.	16,7	272	-,,-	-,,-
II - ფაზა. 46-65 კვ.	46-50 კვ.	16,7	272	3,57	0,52
	51-65 კვ.	16,2	272	-,,-	-,,-
III - ფაზა 66-90 კვ.	66-90 კვ.	15,6	272	4,09	0,5
	და ზევით.				

გადიდების პარალელურად მატულობს ყვითრის მასა, ცილა კი მცირდება.

### 3. როგორ ხდება ბოცვრის მომზადება მოსაგებად და დაგაძინებისათვის?

დაყრამდე აუცილებელია მაკების დადგენა, რაც ვლინდება განმეორებით დაგრილებისას. მაკების კარგი ნიშანია ცოცხალი წონის მატება და ხელით მექანიკური გასინჯვა ორი კვირის ასაკიდან.

მოგების წინ უნდა გაირეცხოს გალია, გაუკეთდეს დეზინფექცია, მომზადებეს საბაჭიე ყუთი, ბოცვერს მიეცეს შესაბამისი საკვები (წმინდა თივა) და წყალი შეუზღუდავად. ბაჭიების დაყრამდე დედა ბოცვერი ამზადებს ბუდეს თივით და თავისივე თივორიკით. ახალშობილ ბაჭიებს დედა ლოკას, მოაწოვებს და გაფანტულ ბაჭიებს ათავსებს ბუდეში.

დაყრის შემდეგ აუცილებელია ბუდის შემოწმება სტერილური ხელთათმანით, რომ ბუდეში არ დარჩეს მკვდარი ბაჭია. თუ ბოცვერი დაბაჭიანების შემდეგ მოუსვენრადაა, აუცილებელია მასტიტზე გასინჯვა. მასტიტი გამოწვეულია რძის ჩამაგრებით სარძევე ჯირკვალში. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიწველოს რამდენიმე წვეთი და ხელით მიესვას ბაჭიები მოსაწოვებლად. საშუალო რძიანობის შემთხვევაში სასურველია, ბოცვერმა გამოზარ-დოს 6-7 ბაჭია, უხვრიანობის შემთხვევაში – 8-10 ბაჭია.

### 4. მაინტერესებს რა უპირატესობები აქვს ბოცვრის ხელოვნური განაყოფილებას?

პრაქტიკამ აჩვენა რომ, მსხვილ სახორცე მიმართულების მებოცვრების სამრეწველო ფერმაში ბუნებრივი შეწყვილება ნაკლებად მომგებიანია, რადგან ბოცვრის დაკვლის პერიოდები არასტაბილურია და ბაზრზე ხორცის მოთხოვნა და მიწოდება დროულად და ეფექტურად



ვერ ხერხდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა ბოცვრის ხელოვნური გზით განაყოფიერება. ცნობილია, რომ ერთი აქტიური მამალი ბოცვრისგან აღებული სპერმით, შესაბამისი განზავებით, შეიძლება განაყოფიერდეს 40-დან 100-მდე დედალი ბოცვერი. ეს დამოკიდებულია სპერმის ხარისხზე. ამ მეთოდით შესაძლებელია ფერმაში მამალი სულადობის რაოდენობრივი შემცირება.

#### ხელოვნური განაყოფიერების უპირატესობები:

- გამრავლების სისწრაფე;
- სქესობრივი ციკლის კონტროლი;
- მამალი ბოცვრის რაოდენობრივი შემცირება;
- საკვების ხარჯვის შემცირება;
- შრომითი რესურსის შემცირება;
- ჯიშების და გენეტიკის გაუმჯობესება;
- ინფექციური დაავადებების რისკის შემცირება.

ბოცვრის ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭიროა სპეციალურად აღჭურვილი სამანიპულაციო სივრცე, სადაც განლაგებული უნდა იყოს მინილაბორატორიული ბოქსი, დედალი და მამალი ბოცვების შესანახი ორკამერიანი ბოქსები, სველი წერტილი, ინვენტარის შესანახი კარადა.

## 1 გერბის გვრდი

რუბრიკას უძღვება „აგრომესაჟირტია ასოციაცია“

# ტექნიკური კიბრის სამუშაოების განვითარება?

მოგვიანეთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასეუს მიღებათ შურალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

### 1. მცენარეთვის რა როლს ასრულებს კალიუმი და რა სიამობით ვლინდება მისი დაზიანებით?

სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მცენარის კვება ნარმოადეგნის მისი სიცოცხლის საფუძველს. თვითორეული მცანარე ნიადაგის მიმართ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებს, რაც შესაბამისად მოითხოვს მიკრო და მაკრო ელემენტების ბალანსირებას. საკვები ელემენტების დეფიციტისა თუ სიჭარბის დროს მცენარე იჩენს დიდ მგრძნობელობას და მცენარის ზრდა-განვითარებაზე მკაფიოდ აისახება, რაც გარეგნული ნიშნებით იოლად გამოცნობია.

კალიუმის დეფიციტი ხშირად ვლინდება ფოთლებზე – ფოთლების კიდეების ხმობით (უმეტეს შემთხვევაში ფოთოლი მოყვითლო-მოყავისფრო შეფერვისაა). ეს ნიშნები ჯერ ქვედა ფოთოლზე აღინიშნება და თანდათანობით გადაინაცვლებს ზედა იარუსის ფოთოლებზე.

- კალიუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნახშირწყლების ნარმოქმნაში, განაპირობებს მცენარეთა მაღალ მდგრადობას დაავადებისადმი.
- ხელს უწყობს ფოთოლსინტეზის გააქტიურებას.
- ხელს უწყობს მოსავლიანობის გაზრდას

- აუმჯობესებს ხარისხს
- ზრდის შაქრის შემცვლელობას ნაყოფში (ყურძენი, ხე-სილი), სახამებლის – კარტოფილში
- ზრდის მცენარის ყინვაგამძლეობას

ყველა ფერმერულ მეურნეობაში, პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, როგორც ფოთლოვანი ისე წვეთოვანი გამოკვებით რეკომენდებულია აგასოლი NPK 5:10:43-ის გამოყენება – განსაკუთრებულად ნაყოფის ფორმირებიდან მოსავლის აღებამდე.

## 2. პოლი ცლების განხავლობაში ჩვით პოსტნის ააგ-დორს ხშირად უვითარდება სიდაგლე, რას მირჩევთ?

პომიდორის წვეროს სიდამპლე ფერმერებისთვის მეტად ნაცნობი დაავადება. ხელშემწყობი კლი-მატური პირობებიდან აღსაღნიშვნავია ძლიერი წვიმები, რომელსაც თან სდევს საკმაოდ ცხე-ლი ამინდები. დაავადების გავცელებას ასევე ხელს უწყობს მწერებით დაავადებული ნიადა-გი, მცენარეული ნარჩენები, არასწორი მორ-წყვა, ნიადაგში აზოტის სიჭარბე და კალციუ-მის ნაკლებობა.

პომინდორის წვეროს სიდამპლით ნაყოფი სამ-ნიფის ფაზაში ზიანდება, დაავადებულ ქსოვილზე იქმნება შავი ხავერდოვანი ფიფქი ჩაჭყლეტილი ან წყლუ-



ლოვანი ლაქის სახით. ლაქები თანდათანობით იზრდება, ქსოვილი მუქდება, უხეშდება და ხშირად რბილდება. ასე-თი ტიპის ნაყოფი სუსტდება და საბოლოდ იწვევს ლპო-ბას, რომელსაც თან სდევს დამახასიათებელი სიდამპლის სუნი. ასეთი სახის ლპობა, უმეტეს შემთხვევავში, გა-მონვეულია წყლის ბალანსის დარღვევის გამო (ტენის ნაკელებობისას). გვალვიანი პერიოდის დროს ნიადაგში წყალი ნაკლებადაა, შესაბამისად პომინდორის ფოთლები-დან ძლიერი ტრანსპირაცია ხდება. ფოთლის ქსოვილებს ოსმოური წნევის დიდი უნარი აქვთ რის გამოც ნაყოფთან შედარებით ფოთლოლი უფრო მეტ წყალს ითვისებს. ხში-რად ნაყოფსაც კი ართმევეს წყალს. ამ დროს შეინიშნება ნაყოფის წვერის ქსოვილების სიკედილი.

ნაყოფის წვერის სიდამპლით პომინდორი ზიანდება რო-გორც ღია, ისე დახურულ გრუნტში.

პროფილაქტიკისთვის ღია გრუნტში საჭი-როა დაზიანებული მცენარეების და ნარჩე-ნების განადგურება, ზრდა-განვითარების პერიოდში ნორმირებული კვების რეჟიმის დაცავა ნიადაგის ანალიზის მიხედვით, დაცვის სქემის გამოყენება აგრო-კალენდა-რულ ვადაში, ხოლო დახურულ გრუნტში ყოვე-ლივე ზემოთ ხსენებულთან ერთად ტემპერატურული რეჟიმის დაცვა.

## შურნალ „ახალ ამრარულ საძართველოში“ სამიცნიერო სტატიის ნარმდებელის და გამოქვეყნების წესი:

- უურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ შედე-გებს სოფლის მეურნეობის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:
- სოფლის მეურნეობის რეფორმა; სოფლის მეურნეობის თეორიის და პრაქტიკის, მემცენა-რეობის, მცენარეთა დაცვის, აგროტექნოლოგიების, აგორტექნიკის, მეცხველეობის, ზოო-ტექნიკის, ვეტერინარიის თანამედროვე საკითხები; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; ფინან-სები, ბანკები (აგრობანკი), ბირჟები; მარკეტინგის, მენეჯმენტის თანამედროვე საკითხები; აგრარული დარგის განვითარების მსოფლიო გამოცდილება, კლასტერები სოფლის მეურნეო-ბაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, პრობლემები, გამოწვევები და სხვ.
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო, დადებითი რეცენზიის შემთხვევაში სტატია გამოქვეყნდება ბეჭდურ და ონლაინ (ინტერნეტ) agronews. ge უურნალში.
- სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გამოქვეყნ-დება დედნის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

### სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტ-რონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylifaen) სილფაენი, ხოლო ინგ-ლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კიდიდან დაშორება 2,5 სმ.



## ვიცერი ავანტის

მრავალფუნქციური ტექნიკა -  
გაუსვლელი დამხმარე  
სასოფლო-სამურნო  
საქმიანობაში!

წარმომადგენელი საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო  
ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) info@worldtechnic.ge  
2 90 50 00 2 18 18 81



 АГРОТЕКС®

გსურთ მიიღოთ ადრეული,  
საღი და უცვი მოსავალი?

გთავაზოგი უნიკალურ,  
ჰაერგამტარი მულტის და  
დამცავი პალეების ფართო  
ასორტიმენტს, რომელიც  
დაიცავს მცენარეს  
სარეველებისაგან, გადაშრების,  
დამწვრობების და  
წაყინვისაგან.

თპილისი, დიდუბე პლაზა  
პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU](http://WWW.AGROTEKS.RU).

599 529 529 / 599 761 321;  
E-mail: tmikadze@yahoo.com